პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 185 (20526) ◆ პარასკევი, 11 აგვისტო, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დღის ნომერში

● **კაცობრიობის** წინსვლისათვის ესოდენ აუცილებელ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მრავალ სიკეთესთან ერთად არსებითი ნაკლიც ახლავს — გარემოს გაჭუჭყიანების საფრთხე... („ქიმია ეკოლოგიის სამსახურში").

● **თბილისის** საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" კოლექტივმა ითავა ყოველწლიურად ივნისის პირველ შაბათს შაბათობის მოწყობა და გამომუშავებული თანხის მარტოხელა, შრომისუნარმოკლებულ ინვალიდთა დახმარების ფონდში გადარიცხვა („მარტოობას არ აგრძნობინებენ").

● **კანონმდებლობის** შემდგომმა სრულყოფამ უნდა გააძლიეროს სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპები, პროცესის მონაწილეთა შეჯიბრებითობა, თანასწორუფლებიანობა და უდანაშაულობის პრეზუმფცია („უდანაშაულობის პრეზუმფცია").

მე-2 გვ.

● **იყო** თუ არა ლენინი დაინტერესებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით, თუ ეს მოხდა სტალინის, ორჯონიკიძისა და ორახელაშვილის ინიციატივით, წინააღმდეგ ლენინის ნებისა? როგორია სინამდვილე? („საერთაშორისო ნორმების დაცვით", თუ ოკუპაცია?").

მე-3 გვ.

● **გურამ** გველესიანი საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის [illegible] ინსტიტუტის — განყოფილების ხელმძღვანელი, [illegible] რი ქიმიის დარგის გამოჩენილი მეცნიერია. შარშან ნოემბრიდან იგი აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანია („ვალში ვართ მომავალ თაობასთან").

● **იაპონელებმა** გადაწყვიტეს ძალები გამოსცადონ ქართულ ჭიდაობაში და განაცხადეს მონაწილეობის სურვილი ქართული ჭიდაობის საქართველოს აბსოლუტურ პირველობაში („იაპონელებიც ქართულად იჭიდავებენ...").

მე-4 გვ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

4 აგვისტოს კრემლში **მ. ს. გორბაჩოვის** თავმჯდომარეობით მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ დღევანდელი სხდომა იწყება იმ საკითხის განხილვით, რომელიც არ ყოფილა დასახული წინასწარ, მაგრამ თვით ცხოვრება გვკარნახებს, დაუყოვნებლივ განვიხილოთ იგი.

საქმე ეხება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრ გაძლიერებას.

ჩვენ უკვე არაერთხელ გვითქვამს, რომ ხალხი, მშრომელთა ფართო მასები სერიოზულად არიან შეშფოთებული ამ ბოლო წლებში დამნაშავეობის ზრდის გამო. ეს შეშფოთება გაისმოდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა გამოსვლებშიც.

როგორც გახსოვთ, ყრილობამ მოითხოვა გაძლიერდეს ბრძოლა კორუფციის, ორგანიზებული დამნაშავეობის, დატაცებებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ. გარანტირებული იყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება — მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსებისა და ქონების დაცვა ხელყოფისაგან;

ამასთან დაკავშირებით, მოვეთათბირე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, თქვა მან, და განსახილველად შემოგაქვს ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი. ვფიქრობ, რომ ახლა დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი უბრალოდ აუცილებელია, რადგან დამნაშავეობას შეგვიძლია ვებრძოლოთ მხოლოდ მაშინ, თუ ზუსტად შევათანხმებთ ყველა იმ ორგანოს საქმიანობას, რომლებიც იცავენ მართლწესრიგს, ავამოძრავებთ მთელ საზოგადოებრიობას.

დადგენილების პროექტის შენიშვნები და დაზუსტებანი წამოაყენეს დეპუტატებმა **ს. ვ. ხელეზნიოვმა, ა. ა. სობჩაკმა, ი. ვ. გოლიკმა, ვ. ს. პოდზირუკმა, ნ. ვ. ფიოდოროვმა, ნ. ნ. მედვედევმა, ს. ვ. ბელოზერცევმა, დ. ნ. კუგულტინოვმა, ვ. ი. კირილოვმა, ლ. ი. სუხოვმა** და სხვებმა.

შემოტანილ შესწორებათა გათვალისწინებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას „დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ".

დეპუტატები იწყებენ „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ" სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვას.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს **ე. ა. სმოლენცევს.**

კანონის პროექტის განხილვა, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სასამართლოს დამოუკიდებლობის პირობების უზრუნველყოფის გზაზე. სახელმწიფოს სახელით გადაწყვეტილებათა მისაღებად მოსამართლეები დაცული უნდა იყვნენ გარედან გავლენისა და იძულებისაგან, რათა მართლმსაჯულება კანონის საფუძველზე და მათი რწმენის შესაბამისად აღსრულდეს.

შემდეგ ორატორი შეეხო პროექტის პრინციპულ დებულებებს, აგრეთვე საკითხებს, რომელთა გამო, როგორც მან თქვა, სთავაზობენ არაერთმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. კანონის მთავარი დანიშნულება ის არის, განაცხადა ორატორმა, რომ შექმნას პირობები სასამართლოების სრულყოფილი მუშაობისათვის, გარანტიების, სასამართლო დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე განსაზღვროს მოთხოვნები მოსამართლეთა კანდიდატებისადმი, რათა ამაღლდეს მათი პროფესიული კომპეტენტურობა.

დასასრულ ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლო რეფორმის, კერძოდ, განსახილველი კანონის მომზადება, დაემთხვა მსოფლიო საზოგადოებრიობის ღონისძიებებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მეორმოცე წლისთავს ეძღვნება, და რატიფიცირებულია ჩვენი სახელმწიფოს მიერაც.

უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის სახელით სიტყვა აიღო მისმა მდივანმა **ვ. ი. ხემენკომ.** ჩვენ, თქვა მან, კანონის პროექტი პირველ რეალურ ნაბიჯად მიგვაჩნია სასამართლო-სამართლებრივი რეფორმის, სახალხო დეპუტატთა ყრილობის შესაბამისი გადაწყვეტილებების რეალიზაციის გზაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტში გარანტიები, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

მან სესიას გააცნო კანონის პროექტის ზოგიერთი შესწორება და დაზუსტებანი, რომლებიც შემოიტანეს კომიტეტებმა, კომისიებმა და ცალკეულმა დეპუტატებმა. მათს ნაწილს, თქვა ორატორმა, ჩვენ დავეთანხმეთ, სხვები იძულებული გავხდით გადაგვედო ან უარგვეყო.

კომიტეტის მდივანმა უპასუხა დეპუტატის კითხვებს.

ტრიბუნაზეა კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დეპუტატი **ს. ს. ალექსეევი.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტის წევრებმა გულდასმით შეისწავლეს სესიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, გამოთქვეს შენიშვნები და შესწორებანი

პალატების მიხედვით ცალ-ცალკე კენჭისყრით „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ" კანონს იღებენ.

ახალი კანონის საფუძველზე დეპუტატმა **ს. ს. ალექსეევმა** კომიტეტის სახელით, რომელსაც იგი მეთაურობს, წინადადება შემოიტანა მიიღონ უმაღლესი საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალოს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს მოსამართლეთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი. დეპუტატებმა ხმა მისცეს ამ გადაწყვეტილების მიღებას.

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა დეპეშა, რომელიც **თავმჯდომარემ** წაიკითხა. დეპეშაში ნათქვამია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ყრუ-მუნჯთა თხუთმეტივე საზოგადოებამ, აღნიშნავენ რა დაბეგვრისაგან მათი განთავისუფლების დიდ ჰუმანურობასა და სამართლიანობას, გადაწყვიტა წელს 20,5 მილიონი მანეთი გადარიცხოს მოსახლეობის ხელმოკლე ფენებისათვის პენსიების მოსამატებლად.

სესიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტს მიეცა დავალება წინასწარ განიხილოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ხელმოწერილია საბჭოთა კავშირის სახელით.

ამ აქტების წინასწარი განხილვის შედეგები სესიას მოახსენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ს. ძასოხოვმა.** მან დამსწრეთ შეახსენა სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ მიღებული ერთ-ერთი დებულება. მისი არსი შემდეგია: ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა შეიქმნას საიმედო გარანტიები, რომლებსაც შეუძლია მომავლისათვის მთლიანად გამორიცხოს ისეთი საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების არადემოკრატიული, არასაჯარო მიღება, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს ქვეყნისა და მისი ხალხებისათვის. ამიერიდან ყველა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მის კომიტეტებსა და კომისიებში განხილვის შემდეგ. ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, მაგალითად, სამოკავშირეო ურთიერთობასთან, უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი გამოტანილ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსახილველად.

შეეხო რა საქმის პრაქტიკულ მხარეს, ორატორმა ილაპარაკა ზოგად დებულებებზე, რომლებიც არეგულირებს სსრ კავშირის საერთაშორისო აქტების რატიფიკაციის წესსა და პროცედურას. მან თქვა: იმასთან დაკავშირებით, რომ „საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, შესრულებისა და დენონსაციის წესის შესახებ" 1978 წლის 6 ივლისის სსრ კავშირის კანონების მთელი რიგი დებულებანი უკვე აღარ შეესაბამება კონსტიტუციას, 1988 წლის 1 დეკემბრის შესწორებათა გათვალისწინებით ეს ორი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი განიხილეს სამ კომიტეტში ექსპერტთა მონაწილეობით. ორატორმა აღნიშნა, რომ მუშაობა მიმდინარეობდა დროებითი წესებით და ხაზი გაუსვა სპეციალური კანონის მომზადების მნიშვნელობას, რომელიც მოაგვარებს ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების რატიფიკაციის წესს.

დეპუტატმა **ნ. ვ. ნეილანდმა** წამოაყენა წინადადება დაამტკიცონ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას (ოქმი № 1), და 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმი, არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას რომ ეხება (ოქმი № 12), რომლებსაც ხელი მოაწერეს ბერნში 1977 წლის 12 დეკემბერს. მან წინადადება წამოაყენა აგრეთვე დაამტკიცონ 1988 წლის 27 აპრილს ანკარაში ხელმოწერილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის საკონსულო კონვენცია. ორატორმა პასუხი გასცა დეპუტატთა შეკითხვებს.

ხმის უმრავლესობით დოკუმენტები რატიფიცირებულია.

მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ მიღებულია განცხადება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრთა დიდი ჯგუფისაგან, რომელშიც გამოთქმულია წინადადება დაუბრუნდნენ სსრ კავშირის რკინიგზების მინისტრის პოსტზე ნ. ს. კონარევის კანდიდატურის განხილვას.

ამასთან დაკავშირებით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ი. რიჟკოვი.** მთავრობის მისამართით, თქვა მან, გვწერენ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები, რომლებიც გვთხოვენ დავუბრუნდეთ აღნიშნული კანდიდატურის განხილვას, მე შევხვდი შესაბამისი კომისიის წევრებს, იქ ერთიანი აზრი არა აქვთ, და ამიტომ ოფიციალურად არ წამომიყენებია ნ. ს. კონარევის კანდიდატურა. რკინიგზის ტრანსპორტზე მრავალი პრობლემაა, ისევე როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, და ჩვენ ვგრძნობთ ამას. ჩვენს ქვეყანაში ხომ რკინიგზა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ჩემი აზრი ისეთია, რომ ამხანაგ ნ. ს. კონარევს შეუძლია სათავეში ჩაუდგეს დარგს სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანდელ რთულ ეტაპზე. მაგრამ ამ კანდიდატურის წამოყენებას შევძლებ მხოლოდ იმ პირობით, თუ იქნება უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერა.

მ. ს. გორბაჩოვმა წაიკითხა სსრ კავშირის მთელი რიგი სახალხო დეპუტატების მიმართვა თხოვნით დავუბრუნდეთ ნ. ს. კონარევის კანდიდატურის განხილვას. ახლა, აღნიშნა თავმჯდომარემ, თქვენთვის ცნობილია ამ დეპუტატთა და მთავრობის მეთაურის თვალსაზრისი. ჩემი მხრივ დავძენ, რომ ნ. ს. კონარევის სახით ჩვენ გვყავს დიდი სამეურნეო მუშაკი, რომელსაც შეუძლია კვალიფიციურად გადაჭრას ურთულესი პრობლემები, აქვს უდიდესი ნებისყოფა და დიდი ორგანიზატორული ნიჭი. დეპუტატთა მიერ მის მიმართ გამოთქმული შენიშვნები მნიშვნელოვანწილად სამართლიანი იყო, მაგრამ ისინი უფრო დაკავშირებულია ჩვენი რკინიგზების მდგომარეობასთან, იქ დაგროვილ მრავალ გადაუჭრელ პრობლემასთან. ამხანაგ კონარევს არაერთგზის მწვავედ დაუსვამს საკითხები ყველა დონეზე, თანაც პრინციპულობა და ნებისყოფა გამოუჩენია. უფროსების მაამებლობის გულისთვის მშვიდად არ უყურებდა იმას, თუ როგორ გროვდებოდა პრობლემები. ჯერჯერობით იგი განაგრძობს თავისი მოვალეობის შესრულებას და აქტიურად ხსნის კვანძებს ერთიმეორის მიყოლებით. ქვეყანაში ტრანსპორტის სიტუაცია რთულია, მაგრამ ჩვენ ყველამ ერთად უნდა მოვიფიქროთ პრობლემის გადაწყვეტის გზები.

შექმნილი სიტუაციის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ბ. ს. ბლაევი, ბ. ნ. ელცინი, ვ. ა. ტეტენოვი, ვ. ვ. კურილენკო, ვ. ი. ვოსკობოინიკოვი, ა. ვ. სემენიხინი, ა. მ. კანაროვსკაია, ი. ს. ვნებრაჩნი, მ. ა. ჩეპურნაია** და სხვები. დარგის რეალური მდგომარეობის, მის წინაშე მდგომი ობიექტური სიძნელეების გათვალისწინებით, მრავალმა ორატორმა მხარი დაუჭირა ამ კანდიდატურის ხელმეორედ განხილვის წინადადებას, იყო სხვა აზრიც ამის თაობაზე.

ხმათა უმრავლესობით სესია ავალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განახორციელოს დამატებითი კონსულტაციები ნ. ს. კონარევის კანდიდატურის უმაღლესი საბჭოს განსახილველად გამოტანის შესაძლებლობის შესახებ.

გულმოდგინე განხილვის შემდეგ სესიაზე მიიღეს დროებითი დებულება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საქმიანობის უზრუნველყოფის შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვმა, რომელიც სესიას თავმჯდომარეობდა, წაიკითხა ნ. ი. რიჟკოვისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მისამართით გამოგზავნილი წერილი. წერილში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მნიშვნელოვანი რაოდენობის, ქვეყნის რკინიგზების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებისა და ხელმძღვანელების აზრის გათვალისწინებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო შესაძლებლად თვლის დაუბრუნდეს სსრ კავშირის გზათა მინისტრის პოსტზე ნ. ს. კონარევის კანდიდატურის განხილვას.

საკითხს კენჭს უყრიან. ხმის უმრავლესობით დეპუტატები **ნ. ს. კონარევს** ნიშნავენ სსრ კავშირის გზათა მინისტრად.

შემდეგ სიტყვა აიღო **ნ. ი. რიჟკოვმა,** რომელმაც მადლობა გამოთქვა მთავრობის მიმართ გამოცხადებული ნდობისათვის. ეს ბრძნული გადაწყვეტილებაა, აღნიშნა მან, და გპირდებით, რომ ყოველმხრივ დავეხმარებით სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს.

სხდომაზე გამოვიდა დეპუტატი **ვ. ი. ბელოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა **მ. ს. გორბაჩოვმა.** (გამოქვეყნებულია 6 აგვისტოს „კომუნისტში").

ამით სესიამ მუშაობა დაასრულა. (საქდესი).

ზრუნავენ ტექნოლოგიური ციკლის დახვეწისათვის

⊙ **თბილისის** მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა და ამაზე მოპოვებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც მეტყველებს. წლის განვლილ 7 თვეში გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 5 მილიონ 846 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ზრუნავენ ტექნოლოგიური ციკლის დახვეწისათვის, თითოეულ სამუშაო უბანზე დისციპლინის განმტკიცებისათვის.

• • •

სურათზე: საქსოვი საამქროს მქსოველი მანანა კასრაძე.

თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტი") ფოტო.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

9 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური საშუალებების ხელმძღვანელთა თათბირი. იგი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ნ. სლიუნკოვმა.

პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის მზადების შესახებ ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. ჩებრიკოვმა. მან აღნიშნა, რომ ჩვენი საზოგადოების განახლებასთან ერთად არ შეიძლება არ განახლდეს ეროვნული პოლიტიკაც. მიმდინარე პროცესების ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ სფეროში საჭიროა არა მარტო წარსულის შეცდომების გამოსწორება, არამედ რადიკალური ცვლილებანიც.

საქმე ეხება თანამედროვე პირობებში ახალ ეროვნულ პოლიტიკას, რომლის ფუძემდებელი პრინციპებია ხალხთა თანასწორობა და ადამიანთა თანასწორობა მათი ეროვნების მიუხედავად, ინტერნაციონალიზმი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეს მუდამ უნდა ჰქონდეთ თვალთახედვის არეში.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო პრობლემებს, რომელთა გარშემო დღეს ცხარე დისკუსიები იმართება. მხედველობაშია უწინარესად საბჭოთა ფედერაციის განვითარება, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის თანაფარდობა და სხვა საკითხები.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნებათაშორის ურთიერთობაში ახალ მიდგომათა რეალიზაცია შესაძლებელს გახდის განმტკიცდეს ჩვენი ფედერაცია, ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა გახდეს ნამდვილად სუვერენული სახელმწიფო, მნიშვნელოვნად გააფართოებს ყველა ავტონომიური ფორმირების უფლებებსაც. ამ მხრივ პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ფართო ბჭობა უნდა გააჩაღონ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი შეეხო თანამედროვე პროპაგანდის ხასიათს და აღნიშნა, რომ იგი არ უნდა იყოს მოსაბეზრებელი და უნდა ითვალისწინებდეს ხალხის გუნება-განწყობილებას. შეუწყნარებელია მცდარი მსჯელობანი და განმარტებანი.

ეროვნული თვითშეგნების ბუნებრივ ზრდას, რომელსაც ფართო გასაქანი მისცა დემოკრატიზაციამ, გარდაქმნამ, საჯაროობამ, ხშირად ანგარებითი მიზნებისათვის იყენებენ სხვადასხვა ჯურის კარიერისტები, უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებსაც სურთ ეროვნულ გრძნობებზე ზემოქმედებით გადაწყვიტონ საკუთარი, ხალხის ინტერესებს დაშორებული ამოცანები. აქ ჟურნალისტის კალამი მტკიცე და ნამდვილად პარტიული უნდა იყოს.

პარტიაში ანგარიშგება-არჩევნებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების რიგგარეშე სესიების მოწყობის თავისებურებანი გააცნო თათბირის მონაწილეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგემ ი. ი. რიჟოვმა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგემ ვ. მ. ფალინმა.

დასასრულ გამოვიდა ნ. ნ. სლიუნკოვი. მან აღნიშნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მზარდი პასუხისმგებლობა ეროვნებათაშორის ურთიერთობაში წარმოქმნილი სიძნელეების დაძლევის მხრივ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეების რეალიზაციაში. ეროვნული პრობლემატიკის გამო დისკუსიათა ტონი უნდა გამოირჩეოდეს კონსტრუქციულობით, ემოციურად დაძაბული კამათიდან უნდა გადავიდეთ პრაქტიკული გადაწყვეტილებების მშვიდ ძიებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი შეეხო პარტიაში ანგარიშგება-არჩევნების და სახალხო დეპუტატთა საბჭოების რიგგარეშე სესიების მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ადგილობრივი ცხოვრების, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის, საბჭოების გარდაქმნის პრობლემების ღრმა და კრიტიკული გააზრება.

პარტიული პრესის უშუალო მოვალეობა უნდა გახდეს აგრეთვე სახალხო ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ გაწეული მუშაობის სერიოზული ანალიზი, მან უნდა აჩვენოს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის, გარდაქმნის პროცესების გაღრმავების გარდამტეხი მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციას.

(საქდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საზღვარგარეთ მარცვლეულისა და სურსათის შესყიდვის შემცირებასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებული ვალუტის გადახდის გზით 1989-1990 წლებში სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი ხორბლის, პარკოსნების და ზეთოვანი კულტურების თესლის მიყიდვის სტიმულირების შესახებ.

დადგენილებით გათვალისწინებულია 1989-1990 წლებში მოეწყოს ექსპერიმენტი — მეურნეობებმა მიჰყიდონ სახელმწიფოს თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტაზე თავთუხი (კლასური) და ღონიერი ხორბალი საშუალოდ ტონაში 60 მანეთის ვარაუდით, ამ კულტურის ყველაზე ძვირფასი ჯიშები — 40 მანეთის, ბარდა და ხანჭკოლა — 80 მანეთის და ზეთოვანი კულტურები (მზესუმზირა, სოია, რაფსი, წიწმატასელი და მდოგვი) — ტონაში 90 მანეთის ვარაუდით.

ასეთი წესით შეიძლება გაიყიდოს თავთუხი (კლასური), ღონიერი და ყველაზე ძვირფასი ჯიშების ხორბალი, თუ მიეყიდება სახელმწიფოს მთლიანად მარცვლეულის მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიური დონის გადამეტებით; ბარდისა და ხანჭკოლის მარცვალი — თუ მიეყიდება სახელმწიფოს 1986-1988 წლებში მიღწეული საშუალო წლიური დონის გადამეტებით; მზესუმზირას, სოიის, რაფსის, წიწმატასელისა და მდოგვის თესლი — თუ მიეყიდება სახელმწიფოს 1986-1988 წლებში საერთოდ ზეთოვანი კულტურების მიხედვით მიღწეული საშუალო წლიური დონის გადამეტებით.

ხორბლისათვის თავისუფლად კონვერტირებული ვალუტის გადახდა, აღნიშნულია დადგენილებაში, ხდება იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობა უზრუნველყოფს მარცვლეულის წარმოებას საერთოდ არანაკლებ მეთერთმეტე ხუთწლედის მიღწეული საშუალო წლიური დონის მოცულობით, ხოლო ბარდისა და ხანჭკოლის მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლისათვის — არანაკლებ 1986-1988 წლებში მიღწეული შესაბამისად მარცვლეულისა და საერთოდ ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოების საშუალო წლიური დონისა.

დადგენილია, რომ სახელმწიფოსათვის ხორბლის, ბარდისა და ხანჭკოლის მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის მიყიდვის წესს (თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტაზე ან შესასყიდი ფასებით მათი დადგენილი დანამატების გათვალისწინებით) კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ.

სახელმწიფოსათვის თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტაზე მიყიდული ზეთოვანი კულტურების თესლისათვის შროტის (კოპტონის) შემხვედრი მიყიდვა არ ხდება.

შემდეგ გათვალისწინებულია, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გასტუმრება ხდება საზღვარგარეთ მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურების თესლისა და მცენარეული ზეთის შესყიდვის შემცირებასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებული ვალუტის გამოყენების ხარჯზე — თუ პურპროდუქტების საწარმოო გაერთიანებები დაადასტურებენ, რომ მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების თესლის დამატებითი რაოდენობა გაიყიდა ამ დადგენილებაში აღნიშნული პირობებით და შეესაბამება სახელმწიფო რესურსებად მათი დამზადების დროს ხარისხის მოქმედ მოთხოვნებს. მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების თესლის მიღწეულ დონეს ადასტურებენ სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოები.

ასეთი წესით რეალიზებული ხორბლის, ბარდისა და ხანჭკოლის მარცვალი, ზეთოვანი კულტურების თესლი საწარმოს მიერ ხელშეკრულებით მიღებული სახელმწიფო შეკვეთის შესრულებად ეთვლებათ აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს.

თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტას, რომელიც მიიღეს ხორბლის, ბარდისა და ხანჭკოლის მარცვლის და ზეთოვანი კულტურების თესლის გაყიდვისათვის, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მთლიანად თვითონ განკარგავენ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიას, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დადგენილებით ევალებათ განსაზღვრონ, ერთი ტონა თავთუხის (კლასური) და ღონიერი ხორბლის მარცვლის და ზეთოვანი კულტურების თესლის თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით საშუალო ღირებულების გათვალისწინებით, ანაზღაურების დიფერენცირებული ოდენობა: ხორბლის მარცვლისა — კლასების მიხედვით, ზეთოვანი თესლისა — კულტურების მიხედვით.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ანგარიშებზე მათ მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ხორბლის, ბარდისა და ხანჭკოლის მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლისათვის სავალუტო სახსრების გადარიცხვას აწარმოებს სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ბანკი სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს საკავშირო საგარეო ეკონომიკური გაერთიანების „ექსპორტპურის" დავალებით (რომელსაც გამოეყოფა სავალუტო სახსრები საზღვარგარეთ მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების თესლის შესაძენად) მას შემდეგ, როცა მეურნეობები დაამთავრებენ ამ პროდუქციის გაყიდვას სახელმწიფო რესურსებად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ ბანკს და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება ეძლევათ დაამტკიცონ თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით გადახდილი ხორბლის, ბარდისა და ხანჭკოლის მაღალხარისხოვანი მარცვლისათვის, ზეთოვანი კულტურების თესლისათვის აღრიცხვა-ანგარიშსწორების წესი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიის წინაშე დასახულია ამოცანა შეისწავლოს იმ მოარენდეთა ორგანიზაციების, საარენდო კოლექტივების კოოპერატივებისა და გლეხთა მეურნეობების თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით სტიმულირების წესისა და პირობების საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის ხორბლის, ბარდისა და ხანჭკოლის მაღალხარისხოვანი მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის მიყიდვას, და საჭიროების შემთხვევაში შემოიტანოს შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში.

დადგენილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიას ევალება სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით განაზოგადოს იმ ექსპერიმენტის შედეგები, რომელიც 1989-1990 წლებში ეწყობა ხორბლის, ბარდისა და ხანჭკოლის მაღალხარისხოვანი მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სავალუტო სტიმულირებისათვის, რათა შედეგები მოახსენოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის პირველ კვარტალში და შემოიტანოს შესაბამისი წინადადებანი.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

10 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო ჩეხოსლოვაკიის ფირმის „ჰიდროკონსულტის" დელეგაციის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე საწარმოო საკითხებში იულიუს ბინდერი, რომელიც დელეგაციასთან ერთად რესპუბლიკაში იყო, რათა „თბილჰიდროპროექტის" სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად განეხილა მიკროჰესის ჰიდროაგრეგატების ერთობლივი საწარმოს შექმნის საკითხები.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საქართველო-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი საწარმოს შექმნა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას. ბუნებისადმი დამოკიდებულება, უახლოეს დროში ჰიდროაგრეგატების შექმნა საქართველოში მათი გამოყენებისათვის არა მარტო ჰიდროენერგეტიკის, არამედ საერთოდ რესპუბლიკის განვითარების პრინციპული საკითხია.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ელექტროენერგიის გამომუშავება გარემოსათვის ზიანის მიუყენებლად უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ჩეხოსლოვაკიის გამოცდილება. საქართველო-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი საწარმოს შექმნა ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ეკოლოგიური პრობლემებისადმი უფრო გონივრულ მიდგომას. გარდა ამისა, ერთობლივი პროექტების შემუშავებისას გაძლიერდება სპეციალისტთა მჭიდრო კონტაქტები და გაფართოვდება ნაყოფიერი თანამშრომლობის დარგების არე.

(საქინფორმი).

გვალვის შემდეგ სეტყვა...

აგვისტოს იმ ცხელ დღეს მოულოდნელად ელვამ გაკვეთა ცა და დასიცხულ ქალაქს მხაპუნა წვიმამ წამოუშინა. თბილისელებმა ფართოდ გაუღეს კარ-ფანჯრები გრილი ჰაერის ნაკადს, მაგრამ სახლების აივნებზე, სახურავებზე, ქუჩებში სეტყვის რაკუნიც გაიგონეს. რესპუბლიკის კიდევ რომელი რაიონები გახდა ასეთი „დაბომბვის" ობიექტი? ეს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის მთავარმა ინჟინერმა ჯემალ დოლიძემ:

— სეტყვა მოვიდა გურჯაანის რაიონშიც, დააზიანა სოფლების ბაკურციხისა და კარდანახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მაგალითად, ბაკურციხეში 100 ჰექტარზე 20-25 პროცენტით დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ცხრა აგვისტოს ღამით გურჯაანის რაიონში დაახლოებით 39 მილიმეტრი ნალექი მოვიდა. ეს ლამის თვიური ნორმაა, რომელიც აგვისტოში 52 მილიმეტრს შეადგენს. სეტყვას არც ბოლნისისა და მარნეულისათვის აუვლია გვერდი. აქაც ანგარიშობენ სეტყვით გამოწვეულ ზარალს.

სინოპტიკოსთა აზრით, წლევანდელი ზაფხული, თუმცა საკმაოდ ცხელად მიგვაჩნია, ნორმიდან არ „გამოდის". ასეთი ამინდი დამახასიათებელია ჩვენი მხარისათვის. ტემპერატურას 37 გრადუსისათვის არ გადაუჭარბებია. სამაგიეროდ აგვისტო, გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, უფრო გრილი უნდა იყოს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხშირად მოვა წვიმები. იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი აღარ მოგვიტანენ ისეთ არასასურველ „სიურპრიზებს", როგორიც სეტყვაა.

(საქინფორმი).

გავუფრთხილდეთ დედაბუნებას

ქიმია ეკოლოგიის სამსახურში

კაცობრიობის წინსვლისათვის ესოდენ აუცილებელ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მრავალ სიკეთესთან ერთად არსებითი ნაკლიც ახლავს — გარემოს გაჭუჭყიანების საფრთხე. თუმცა, დღეისათვის ეს საფრთხე კი არა, არამედ რეალობაა, რომელმაც შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანოს საზოგადოება. ქიმიური, მეტალურგიული, სამთამადნო და სხვა დანიშნულების თანამედროვე სუპერგიგანტი საწარმოები უხვად აფრქვევენ ჰაერში, წყალსა და ნიადაგში ათასგვარ მომწამლავ ნივთიერებას, რაც საბოლოო ანგარიშში ბუმერანგივით უბრუნდება ადამიანს.

ამ წერილით გვსურს მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ეკოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ჩამდინარე წყლებში და სამრეწველო ნარჩენებში ეგრეთ წოდებული მძიმე მეტალების მაღალი შემცველობა. კადმიუმი და სპილენძი, დარიშხანი და ნიკელი, ვერცხლისწყალი და ტყვია — ამ ელემენტების მხოლოდ ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ ადამიანს შიშის გრძნობა დაეუფლოს.

საბჭოთა და უცხოელ მედიკოსებს ადამიანის ორგანიზმზე მძიმე მეტალების გამანადგურებელი ზემოქმედების უტყუარი ფაქტები მოეპოვებათ. ინფექციის წყარო აქ მრავალგვარია: ჩამდინარე წყლები, დაბინძურებული მდინარეული და გრუნტის წყლები, ტოქსინთა მაღალი შემცველობის ატმოსფერული ჰაერი, არაჯანსაღ ნიადაგზე მოყვანილი საკვები მცენარეულობა და ა. შ. საჭიროა მკაცრი და ეფექტიანი კონტროლის დაწესება, რომლის აუცილებელი წინაპირობაა აღნიშნულ სისტემებში ტოქსიკური ელემენტების შემცველობის ზუსტი აღრიცხვა.

ამ სტრიქონების ავტორი წლების მანძილზე იკვლევდა და ადგენდა ბუნებრივ და ჩამდინარე წყლებში ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი ელემენტის — კადმიუმის განსაზღვრის მეთოდებს. ბუნებრივ წყლებში კადმიუმის მოხვედრის წყაროა ზედაპირული წყლები, ატმოსფერული ნალექები, მეტალურგიული წარმოების ჩამდინარე წყლები, ქარხნები, სადღებავი და სხვა.

კადმიუმით დაბინძურებული ბუნებრივი წყლები შეიძლება მოხვდეს ზღვაში და ოკეანეში, რომლის მაღალი კონცენტრაციის კოეფიციენტი გროვდება ზღვის ორგანიზმებში. მაგალითად, კადმიუმის კონცენტრაციის მაღალი ხარისხია თევზში, ზღვის ჭოკოში და სხვა. აქედან გასაგებია, თუ რა საკვები პროდუქტებით შეიძლება მოხვდეს ადამიანის ორგანიზმში კადმიუმი. სასმელ წყალსა და კვების პროდუქტებში (განსაკუთრებით თევზში) კადმიუმის მაღალი შემცველობისას ადამიანი შეიძლება დაავადდეს მრავალი სახიფათო სენით, როგორიცაა ძვლების დარბილება, პიელონეფრიტი, უჯრედების ავთვისებიან სიმსივნედ გარდაქმნა, მიოკარდის ინფარქტი და სხვა. აღინიშნება ადამიანის მოწამვლის მრავალი ფაქტი თევზით და წყლით. მნიშვნელოვანი მაგალითია კადმიუმის ინტოქსიკაციით გამოწვეული დაავადება „იტაი-იტაი“ (ძვლების მსხვრევადობა), რომელიც აღმოჩენილი იქნა იაპონიაში. გარდა ამისა, ლიტერატურული მონაცემებით ცნობილია, რომ კადმიუმი იწვევს შიგაუჯრედების დაშლას, ფსიქიურ დაავადებას, დეგენერატიზმს და ა. შ.

კადმიუმის საშუალო შემცველობა მიწის ქერქში 2.10^{-5} პროცენტს შეადგენს, ხოლო ბუნებრივ წყლებში 0,01-50 მიკროგრამს ლიტრში (მკგ/ლ). რამდენადმე მომატებულია კადმიუმის რაოდენობა იმ საწარმოთა ჩამდინარე წყლებში, რომლებიც ტექნოლოგიურ ციკლში იყენებენ აღნიშნული ელემენტების შენაერთებს, აგრეთვე იმ წყლებში, რომლებიც გავრცელებულია დამუშავების პროცესში მყოფი სულფიდური საბადოების სიახლოვეს. კადმიუმის ძლიერი ტოქსიკურობის გამო დაწესებულია მკაცრი ნორმები სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყლებში ამ ელემენტის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისათვის. კერძოდ, საბჭოთა კავშირში, იაპონიასა და აშშ-ში ეს მაჩვენებელი შეადგენს 1 მკგ/ლ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში — 5 მკგ/ლ და ა. შ. ფიქსირების თვალსაზრისით ეს მცირე სიდიდეებია და მათ დასადგენად აუცილებელია ანალიზის სპეციალური ხერხების გამოყენება. ერთ-ერთი ასეთი ხერხია ატომურ-აბსორბციული სპექტრული მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ელემენტთა ოპტიკური მაჩვენებლების გაზომვაზე. აღნიშნული მეთოდით მუშაობისას სითხეებში კადმიუმის შემცველობის უშუალოდ გაზომვას წინ უსწრებს საანალიზო სინჯში კადმიუმის ხელოვნურად კონცენტრირება ექსტრაქციის ან სორბციის გზით, რაც თავისთავად ძალზე შრომატევადია და მოითხოვს იუველირულ სიზუსტეს. ანალიზის დაჩქარებისა და გამარტივების მიზნით ჩვენ მიერ დამუშავებული იქნა კადმიუმის მიკრორაოდენობის განსაზღვრის პერსპექტიული სორბციულ-ატომურ-აბსორბციული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ეგრეთ წოდებული კომპლექსწარმომქმნელი ბოჭკოვანი სორბენტის გამოყენებას. ამ სორბენტისათვის დამახასიათებელია შთანთქმის დიდი მოცულობა, მაღალი კინეტიკური და მექანიკური თვისებები, რაც საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად ამოვწვლილოთ ხსნარებიდან კადმიუმი მისი ძალზე უმნიშვნელო შემცველობის დროსაც კი. გარდა მაღალი სიზუსტისა, აღნიშნული მეთოდის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ მისი ექსპრესულობა. ანალიზისათვის განკუთვნილი დრო ამ შემთხვევაში არ აღემატება 1-1,5 საათს, მაშინ როდესაც არსებული ხერხების გამოყენებისას საანალიზო დრო გაცილებით უფრო მეტია. ბოჭკოვანი სორბენტით კადმიუმის კონცენტრირებისას ელემენტი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც უშუალოდ სორბენტის ფაზაში, ასევე მისი ჩარეცხვით მიღებულ ხსნარში. შედეგების დაპირისპირება წარმოადგენს ანალიზის კონტროლის საუკეთესო საშუალებას.

ახალი მეთოდი წარმატებით იქნა აპრობირებული ბუნებრივ ობიექტებზე, კერძოდ, მინერალურ, მდინარეულ და ჩამდინარე წყლებზე, რომელთა მრავალრიცხოვანი სინჯები ავიღეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. მაგალითისათვის, შემოწმებული იქნა თბილის-რუსთავის ჩამდინარე წყლები. ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ კადმიუმის შემცველობა მასში ზღვრულზე ოთხჯერ მეტია. შემოწმებული იქნა ზოგიერთი მინერალური წყალი. შედეგები ასეთია: მინერალურ წყლებში (ბორჯომი, ბოლნისი, ბალიათა, ვაჟას წყარო, ურაველი, მიტარბი, ზვარე) კადმიუმის კონცენტრაცია ზღვრების ფარგლებშია, საგრძნობლად გაზრდილია შედარებით მაღალ მინერალიზირებულ მიწისქვეშა წყლებში, რომლებიც გამოვლინებული იქნა ჭაბურღილებით — ხევსურეთში, ონის და ჩოხატაურის რაიონებში და სხვა ადგილებში.

მეთოდის ეკონომიკური ეფექტიანობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მინიმუმამდეა დაყვანილი ძვირადღირებული სორბენტის ხარჯი. გარდა ამისა, აღნიშნული მეთოდით დამუშავებისას შესაძლებელია სორბენტის ერთი და იგივე ულუფის მრავალჯერადი გამოყენება ისე, რომ არ შემცირდეს განსაზღვრის სიზუსტე და საიმედოობა.

ჩვენ მიერ დამუშავებული ამ სორბციულ-ატომურ-აბსორბციული მეთოდით დაინტერესდნენ ისეთი წამყვანი დაწესებულებების ლაბორატორიები, როგორიცაა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ი. ვერნადსკის სახელობის გეოქიმიისა და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტის სპექტრული და ცენტრალური ანალიზური ქიმიის ლაბორატორია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მადნეულ საბადოთა გეოლოგიის, პეტროგრაფიის, მინერალოგიისა და გეოქიმიის ცენტრალური ანალიზური ქიმიის ლაბორატორია, ჩეხოსლოვაკიის უნივერსიტეტის სამედიცინო-ვეტერინარული ქიმიის განყოფილება და სხვ. კარგი იქნება თუ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მეთოდს გამოიყენებენ ქართველი სპეციალისტებიც, რადგან ვიმედოვნებთ, რომ იგი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს შესაბამის საინსპექციო სამსახურს ბუნებრივი ობიექტების კადმიუმით დაჭუჭყიანების თავიდან აცილების კეთილშობილურ საქმეში.

ზიზი სვანიძე,
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დემოგრაფია

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საქართველოს დემოგრაფიული ფონდის წესდების პროექტის განხილვას. მრავალი მოსაზრებაც გამოითქვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ბოლოს ფონდიც შეიქმნა.

შემდეგ კიდევ ერთი სიახლე გვემცნო — საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელმა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას გამოეყოს საქართველოს დემოგრაფიული ფონდი და ეწოდოს „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება“.

ყულაბა-ერის გამრავლების საწინდარი?!

ხელმოკლეობა როდია ერთადერთი მიზეზი ქართველთა გამრავლების ნელი ტემპისა. როგორც ირკვევა, შობადობის ნაკლებობა მეტწილად იმ ოჯახებში შეინიშნება, რომლებიც სხვებზე უკეთ არიან მატერიალურად უზრუნველყოფილნი და ქართულ სოფელშიც კი, რომელიც ოდითგანვე ერის გამრავლების ძირითადი წყარო იყო, საუკეთესო სახლებითა და სხვადასხვა მარკის ავტომანქანებით დამშვენებულ ეზოებში თითო-ოროლა ბავშვი თუ დაკინკილებს.

დღეს ქართველობის უმეტესობის გონება კომფორტისკენაა მიმართული, მათი უნარიც მთლიანად საკუთარი სახლის აღზევებას ხმარდება, ერის წინაშე მოვალეობა კი... ხომ ფაქტია, რომ მასივებში მცხოვრებ თბილისელთა ერთი ნაწილი იმასაც ცდილობს, ხუთოთახიანი ბინა „პრესტიჟულ უბანში“ გაცვალოს სამოთახიან ბინაზეც კი; ეკონომიკური სიდუხჭირე თუ საცხოვრებელი ფართის ნაკლებობა მაშინღა ახსენდება, როცა შვილის გაჩენაზე მიდგება საქმე.

ერთით მეტი შვილის გაჩენა არ ნიშნავს მხოლოდ გაზრდილ მატერიალურ მოთხოვნილებებს, იგი გარჯისა და ზრუნვის გაორკეცებასაც მოითხოვს. მაგრამ საკითხავია, შეიწყნარებს თუ არა თავს სამისოდ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც სასახლეების მშენებლობით ისე გაერთო, რომ სულ დაავიწყდა, თუ ჩვენში შობადობა თანდათანობით ასე დაეცა, ვის დარჩება იგი.

ვფიქრობთ, რომ იქ, სადაც ეკონომიკური პირობების გარდა ზნეობრივი ხასიათის მიზეზებიცაა, გამოსავლად მხოლოდ ყულაბის შემოთავაზება და მისი აღიარება უმართებულოც კია ერის გადარჩენის უმთავრეს ნაბიჯად. აქ უფრო ქმედითი ღონისძიებებია განსახორციელებელი. ამგვარ ღონისძიებად გვესახება ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქართველი კაცის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭოს მრავალშვილიანს. როგორც გამონაკლისი, ეს წესი არ უნდა გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებსაც (ან მათ მეუღლეებს) ფიზიკურად დაკარგული აქვს დედობის ან მამობის უნარი.

დღევანდელ პირობებში დიასახლისის შრომაც საზოგადოებრივ შრომად უნდა ჩაითვალოს. განა შეუძლებელია (წარმოების სწორი ორგანიზაციის საფუძველზე), ისე ამაღლდეს მამაკაცის შრომის ნაყოფიერება და შესაბამისი ანაზღაურება, რომ მათი მეუღლეების უმეტესობა ნახევარ განაკვეთზე გადავიყვანოთ, რომ ოჯახის მოსავლელად მეტი დრო დარჩეს? ამით ხომ მოზარდს მოემატება დედის სითბო და უშუალო ზრუნვა.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკითხზე: ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ვაშენებთ ბაგა-ბაღებს დამოუკიდებელ კომპლექსებად, როცა შეიძლება საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის ნაწილი მაინც გამოეყოს ბაგა-ბაღს იმავე სახლის მცხოვრებთათვის და მისი ფუნქციონირება მოხდეს როგორც საზოგადოებრივ, ისე კოოპერაციულ საწყისებზე?! ჩვენი აზრით, საკითხის ასე გადაწყვეტა ნაკლებ კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვს, ვიდრე დამოუკიდებელი კომპლექსების მშენებლობა.

ჩვენი წერილი გვინდა დავამთავროთ ოპტიმისტური განწყობილებით, რომ ერთობლივი ფიქრით, განსჯით და საქმიანობით ისე ავღორძინდეთ, რომ მომავალში ჩვენი მამულის ბატონპატრონნი ჩვენვე ვიყოთ.

მზია გოგიაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი;

ნანა ანდრიაშვილი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

გულმოწყალება

მარტოობას არ აგრძნობინებენ

— **მოხვედი,** შვილო? — კარს უკან შემომესმა მოხუცი ქალის მთრთოლვარე ხმა.

— არ ვიცი, ვის ელოდა. მე რომ არ მელოდა, ეს კი ცხადია. მაგრამ მის ხმაში იმდენი სითბო, იდუმალი მოლოდინის სიხარული, უთქმელი ნატვრა და სურვილი იყო ჩაქსოვილი, რომ უნებურად ვუპასუხე, მოვედი-მეთქი.

კარი რომ გააღო და უცხო შევრჩი, შეცბა, სახეზე აშკარად წყენა, იმედგაცრუება გამოეხატა.

— სხვას ველოდი, — ნაღვლიანად, თითქოს დარცხვენილმა ჩაიდუდუნა და თვალი ამარიდა.

ვინ სხვას-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვერ შევბედე. ერთხანს მდუმარედ ვიდექით სტუმარიც და მასპინძელიც. მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ერთბაშად გამოცოცხლდა, დამჭკნარი ხელი გამომიწოდა და აღელვებულმა მითხრა: სულ ერთია, ვინც უნდა იყოთ, კარის ყოველ შემოღებაზე სიცოცხლე მიხანგრძლივდებაო.

ეს იყო ანა ლაშაური, 83 წლის მარტოხელა, შრომისუუნარო პერსონალური პენსიონერი, პარტიის ვეტერანი, მაუდ-კამვოლის კომბინატის ყოფილი ბიბლიოთეკარი.

შინ რომ ვეწვიე, საავადმყოფოდან ორი დღის გამოსული იყო...

— ამ დილით წითელი ჯვრიდან ნათელა ჭურაძე მოვიდა და წამლები მომიტანა. პირველი მაისის რაიონის სოციუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ფრიდონ ხაჟომია და მისი მუშაკი ნუნუ ბუზარიაშვილი ხშირად მაკითხავენ. არც სოციუზრუნველყოფის სამინისტროს მუშაკები მაკლებენ ყურადღებას. ამას წინათ ავად რომ გავხდი, მაუდ-კამვოლის კომბინატის კომკავშირლები დამეხვივნენ. მაგრამ... — ანას ხმა გაებზარა, სათქმელი ბოლომდე ვეღარ თქვა.

დაც ჰყავს, დისწულებიც, ძმისწულიც. ოღონდ ესაა, და ავადმყოფია, დისწულებსა და ძმისწულს კი თავთავიანთი ოჯახები ჰყავთ, მუშაობენ და უწინდებურად ხშირად ვეღარ აკითხავენ.

იმ დღეს რომელიმე მათგანს თუ ელოდა...

მარტოხელა, უმწეო მოხუცების მთელი გულისყური კარისკენ რომ არის მიპყრობილი და მის შემოღებას ასე მოუთმენლად ელიან, ამაში თანადგომის და დახმარების დაუოკებელი სურვილის გარდა, არის კიდევ რაღაც სხვა, განუმეორებელი, მშვენიერი და ამაღლებული. მჟღავნდება განუზომელი სიყვარული ადამიანებისადმი, რომლებიც თავის მხრივ სიყვარულში ტოლს არ დაუდებენ, მათ სატკივარს გაითავისებენ და სრულიად უანგაროდ, უყოყმანოდ, ძალდაუტანებლად დახმარების ხელს გაუწვდიან.

სწორედ ასეთად მოევლინათ მათ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივი, რომელმაც რესპუბლიკაში პირველმა ითავა, ყოველწლიურად ივნისის პირველ შაბათს შაბათობის მოწყობა და გამომუშავებული თანხის მარტოხელა, შრომისუნარმოკლებულ ინვალიდთა დახმარების ფონდში გადარიცხვა.

თავდაპირველად საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტროში იშვა ასეთი შაბათობის მოწყობის იდეა, რომელსაც ხორცი შეესხა შარშან, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ აქტივის კრებაზე. გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ჩივაძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა გიზო დოლიძემ, პროფკომიტეტის თავმჯდომარემ მურთაზ კალანდაძემ, ყველამ, ვისაც ევალებოდა ამის გაკეთება, მუშებს აუხსნეს, გააგებინეს ამ წამოწყების მნიშვნელობა. მათაც მხარი აუბეს და ერთსულოვნად გადაწყვიტეს — 4 ივნისს მოეწყოთ შაბათობა და გამომუშავებული თანხა გადაერიცხათ მარტოხელა შრომისუუნაროთა დახმარების ფონდში. მის ინიციატივას გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკის პროდუქციის მომცემი ყველა საწარმო. წლის ბოლომდე დახმარების ფონდში 700.000 მანეთი გადაირიცხა. აქედან 10.000 მანეთი გაერთიანების მუშათა წვლილია.

სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასული გაერთიანება, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად თავად განიცდის ფინანსურ სიძნელეებს, შარშანდელივით წელსაც, როგორც ამ საქმის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი, სათავეში ჩაუდგა ამ ტრადიციად ქცეულ შაბათობას, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში 3 ივნისს (ივნისის პირველ შაბათს) უკვე მეორედ მოეწყო. (ვინც იმ დღეს ვერ მოახერხა შაბათობის მოწყობა, მომდევნო შაბათისთვის გადადო...).

გულმოწყალების საფუძველი ხომ მოყვასის სიყვარულია. სწორედ ეს სიყვარული ალაპარაკებთ ასე გაერთიანების მუშებს:

გიორგი ზაკუტაშვილი (ელექტროშემდუღებელი, ოჯახური დინასტიის უფროსი თაობის წარმომადგენელი):

— უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს იმაზე ფიქრი, რომ შაბათობაზე ჩემი და ჩემი ვაჟიშვილების — ელგუჯას, ამირანის და ნუკრის მიერ გამომუშავებული თანხა მარტოხელა, შრომისუუნარო მოხუცთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.

თენგიზ სიმონიშვილი (ელექტროზეინკალი, შრომის ვეტერანი):

— კაცმა არ იცის, სიბერეში ვის რა ელის. რომ წარმოვიდგენ ნათესავ-მეგობრებს მოკლებულ ხანდაზმულ, უმწეო, შრომისუუნარო მარტოხელა კაცს, რომელიც, ალბათ, ახალგაზრდობაში შინ და გარეთ ჯარასავით ტრიალებდა, ახლა კი მუხლები უცახცახებს, ჩემი მემართება. სულითა და გულით მივესალმები ასეთი შაბათობების მოწყობას...

მერაბ კუხიანი (ხარატი):

— სხვან კაცზე უკეთ ვინ იცის გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცისთვის თანადგომის ფასი. ჰოდა, გადავწყვიტე, მხოლოდ მარტოხელა, შრომისუუნარო ინვალიდთა დასახმარებლად მოწყობილ შაბათობაში კი არა, სოფელ სამღრეთში სტიქიით დაზარალებული აჭარლებისათვის ხუთი ბინის მშენებლობაშიც (რაც ჩვენს გაერთიანებას აქვს განზრახული) მივიღო მონაწილეობა.

ასე ფიქრობენ დაზგებთან, საზეინკლო გირაგებთან მდგომი საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მუშები, რომლებმაც არა მარტო სახელმწიფო გეგმების შესრულება, მარტოხელა, შრომისუუნარო ინვალიდთა დახმარებაც იდეს კისრად.

მიუხედავად რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე სიტუაციისა, შაბათობა მრავალ რაიონსა და ქალაქში მაინც მოეწყო. მათ შორის მესტიის რაიონშიც, სადაც პროდუქციის მომცემი საწარმოები არ არის. მისმა მშრომელებმა, რომლებმაც კარგად იციან გაჭირვებაში მყოფი კაცის თანადგომის და დახმარების ფასი, შაბათობაზე გამომუშავებული მთელი თანხა — 4.500 მანეთი ახლად გახსნილ №000700.451 ანგარიშზე გადარიცხეს.

თვით ამ შაბათობის ინიციატორმა, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელმა“ დახმარების ფონდში შარშანდელივით ჩარიცხა 10.000 მანეთი, ზესტაფონის რაიონმა — 13.375 მანეთი, გორისა — 12.000 (ქალაქ გორმა — 3.250), ლაგოდეხისა — 12.680, ყვარლისა — 11.131, ხობისა — 10.000, ქარელისა — 8.000, გეგეჭკორისა — 5.000, აბაშისა — 5.000, ახალციხისა — 5.000, ზუგდიდისა — 5.010, ლანჩხუთისა — 5.000, ჩოხატაურისა — 4.700, მცხეთისა — 4.000, მარნეულისა — 3.000 (ქალაქ მარნეულმა — 4.500), ახმეტისა — 3.390, ბოლნისისა — 2.700, ადიგენისა — 2.500, წალენჯიხამ — 26.700, რუსთავმა — 5.000 და ასე შემდეგ.

შაბათობა მოაწყვეს თავად გასაჭირში ჩავარდნილმა აჭარლებმაც, რომლებსაც სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით მთელი საქართველო მხარში ამოუდგა. მარტო ბათუმელმა მშრომელებმა მარტოხელათა დახმარების ფონდში 22.827 მანეთი გადარიცხეს.

დღეისათვის №0007000.451 ანგარიშზე უკვე გადარიცხულია 335.000 მანეთი. გადარიცხვა გრძელდება.

ლაურა ძეძამიძე.

⊙ **თბილისის** საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივმა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრა მიმდინარე წლის შვიდი თვე. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 196 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს, ხოლო მოგების გეგმას 9 ათასი მანეთით გადააჭარბეს. დღეისათვის აქ 150-ნაირ ნაწარმს ამზადებენ, მათგან ექვსი ბროლისაა. მყიდველს მოსწონს და ხალისით იძენს აქაურ ნახელავს.

სურათზე: კომბინატის ფასადის კერამიკული ფილების საამქროს ინჟინერი ტასო მებურიშვილი და კონტროლიორი მანანა მსხალაძე ამოწმებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტი“) ფოტო.

აფხაზეთის ამბები

აფეთქება, რომელმაც ყველას გული ატკინა

სოხუმი, 9 აგვისტო. (საქინფორმის კორ. თენგიზ ჯიბუტი).

არა, არ გამოცხადებულა დღეს სოხუმში საყოველთაო-სახალხო გლოვა. უნდა ყოფილიყო კი. იქნებ ამ ტრაგედიას ჩაეფიქრებინა ექსტრემისტები, რომლებმაც აფხაზეთში ეროვნებათშორისი კონფლიქტი გააჩაღეს, რომ დროა შეჩერდნენ — დროა იფიქრონ არა მარტო თავიანთ თავზე, არამედ შვილების ბედზე. ის, რაც მოხდა აქ, აგვისტოს მზიან დღეს, სემერჯიევის ქუჩაზე, სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა ვანდალიზმის აქტს. აი რას გვატყობინებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი აფხაზეთში: „დამშრალ ჩასადენ თხრილში სამმა არასრულწლოვანმა იპოვა დაუდგენელი შემადგენლობის ასაფეთქებელნივთიერებიანი პაკეტი და ცეცხლი წაუკიდეს მას. გაისმა აფეთქების ხმა. დაიღუპა ორი ბავშვი, 12 და 13 წლის დაძმა, მესამე მძიმე მდგომარეობაშია. იგი დასახიჩრებული მიიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში. თუ მედიკოსები შეძლებენ მის გადარჩენას, იგი მთელი სიცოცხლე ხეიბარი უნდა დარჩეს.

აფეთქებამ, რომელმაც გული ატკინა ყოველ სოხუმელს — აფხაზსაც და ქართველსაც, უნდა გამოაფხიზლოს მოშუღლე მხარეები. თორემ სად მიგვიყვანს ყოვლად გაუმართლებელი მტრობა? — თქვა სოხუმის ქიმიური ქარხნის მუშამ ქეთო გაბუნიამ. მე თავად დედა ვარ, და ვიცი, რომ ამ ძმათამკვლელი შეტაკების უდანაშაულო მსხვერპლთა დღეს ცხარე ცრემლით დასტირიან აფხაზი და ქართველი დედები.

ამას ადასტურებს სამართალდამცავი ორგანოების ყოველდღიური ცნობები. განა ამაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთში მოვლენების დაწყებიდან მოსახლეობისაგან ამოღებულია 2882 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 7 ტყვიამფრქვევი, 174 ავტომატი, 66 პისტოლეტი, 2500-ზე მეტი შაშხანა და სანადირო თოფი. დაახლოებით 1400 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება. ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ასაფეთქებელი ნივთიერება აქვთ ხელთ ექსტრემისტებს, რომლებსაც შეუძლიათ ანგარიში გაუსწორონ არა მარტო მოზრდილებს, არამედ ბავშვებსაც კი.

ადამიანი და კანონი

უდანაშაულობის პრეზუმფცია

ბრალეულობის საკითხს მხოლოდ სასამართლო წყვეტს

სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გარდაქმნა მჭიდროდაა დაკავშირებული მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების განუხრელ დაცვასთან და დემოკრატიული პრინციპების გაძლიერებასთან. XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ კანონმდებლობის შემდგომმა სრულყოფამ უნდა გააძლიეროს სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპები, პროცესის მონაწილეთა შეჯიბრებითობა, თანასწორუფლებიანობა და უდანაშაულობის პრეზუმფცია.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ლათინური გამოთქმაა და ნიშნავს წინასწარ დადგენილ, განსაზღვრულ სამართლებრივ ვარაუდს, რომელიც ძალაშია და მოქმედებს მანამ, სანამ არ იქნება დადგენილი და დამტკიცებული საწინააღმდეგო.

უდანაშაულობის პრეზუმფცია როგორც დემოკრატიული პრინციპი, პირველად იყო აღიარებული და გამოცხადებული 1789 წელს ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაციით (მუხლი მე-9) საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით. მან ასახვა ჰპოვა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლი 11), მიღებული გენერალური ასამბლეის III სესიის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. შემდგომში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიამ 1966 წლის 19 დეკემბერს მიიღო საერთაშორისო პაქტი მოქალაქეთა და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, სადაც მე-14 მუხლში ჩამოყალიბდა უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი: ყოველ ბრალდებულს, რომელსაც ერაცხება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ჩაითვალოს თავი უდანაშაულოდ მანამდე, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად.

უდანაშაულობის პრეზუმფცია როგორც საპროცესო პრინციპი, ჩვენს კოდექსებზე ადრე საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში იყო ფიქსირებული.

უდანაშაულობის პრეზუმფცია არის სისხლის სამართლებრივი და პროცესუალური პრობლემა. ამ საკითხის გაშუქებას კავშირი აქვს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტებთან, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვის საგანი გახდა.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ (შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებმა) აღიარა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. საკავშირო კონსტიტუციის 160-ე მუხლის შესაბამისად უდანაშაულობის პრეზუმფცია გამოიხატება იმით, რომ არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად.

აღნიშნული დებულება ეხება ყველა მოქალაქეს. იგი არის ზოგადი, მაგრამ ამავე დროს შეიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის ძირითად ნიშნებს პროცესუალური გაგებით. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს წარმოადგენს არა ყველა მოქალაქე, არამედ ის პირი, რომელიც დაკავებულია დანაშაულის ჩადენაში ეჭვის გამო ან მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. ამრიგად, უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ვრცელდება ეჭვმიტანილზე, ბრალდებულზე, განსასჯელზე.

უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი სისხლის სამართლის პროცესში დიდი ხნის მანძილზე სადისკუსიო იყო. კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით იგი განიხილება, როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი დემოკრატიული კონსტიტუციური პრინციპი.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს იმას, რომ ყოველი ეჭვმიტანილი, ბრალდებული (განსასჯელი) ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დადგენილი კანონით განსაზღვრული წესით და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

ის ფაქტი, რომ უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დაკავებულია პირი, როგორც ეჭვმიტანილი, მიცემულია იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, მიმდინარეობს მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება, იმხილება ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში და დგება საბრალდებო დასკვნა — ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მისი ბრალეულობის საკითხი დადგენილი და გადაწყვეტილია. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებმა გააკეთეს წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის.

სასამართლოს შეუძლია, კანონით დადგენილ შემთხვევაში, შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე წარმოებით ან საერთოდ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, გამოძიების ორგანოების წინასწარი დასკვნა გააქარწყლოს. საკითხი ბრალდებულის (განსასჯელის) ბრალეულობის შესახებ წყდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლო განაჩენში საბოლოო შეფასებას აძლევს მტკიცებულებებს, ბრალდებულის ქმედობას და ყველა სხვა გარემოებებს, რაც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში. სასამართლოს ასეთი განაჩენი კანონიერ ძალას იძენს, თუ იგი არ იქნება გასაჩივრებული ან გაპროტესტებული შვიდი დღე-ღამის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საქმის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის შემდეგ. მაშასადამე, პირის ბრალეულობის დადგენაზე შეიძლება მსჯელობა იყოს მხოლოდ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

აქედან გამომდინარე, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს არ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით ის ფაქტები და გარემოებები, რომლებმაც თავიანთი შეფასება უნდა ჰპოვონ სასამართლოს განაჩენში. პრესაში არ უნდა შეფასდეს საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები და აღინიშნოს ბრალდებულის მკაცრად დასჯის შესახებ მანამ, სანამ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ არის შესული კანონიერ ძალაში. ამას მოითხოვს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, მათი ავტორიტეტის, სახელის და რეპუტაციის შენარჩუნება.

ინფორმაციის საშუალებების არასწორი გამოყენება ჯერ ერთი, ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ დებულებას, მეორეც, წინასწარ ქმნის საზოგადოებრივ აზრს, ზოგჯერ არასწორს, ტენდენციურს. ეს საზოგადოებრივი აზრი კი გამომძიებელსა და მოსამართლეზე ახდენს ზეგავლენას.

სწორედ ამიტომ კანონპროექტი „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების მეშვეობით მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენისათვის.

უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული მოვალე არ არის ამტკიცოს მისი უდანაშაულობა ან დამნაშავეობა. ამისათვის მოწოდებულნი არიან საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები. ბრალდებულს შეუძლია მისცეს ჩვენება, უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე ან მისცეს არასწორი ჩვენება, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს წარმოადგენს თავის დაცვის საშუალებას. მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს უფლება არა აქვს მტკიცების მოვალეობა (მტკიცების ტვირთი) ბრალდებულზე გადაიტანონ. მხოლოდ ეს პირები, მოვალენი არიან ამხილონ ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენით გადაწყვიტოს პირის ბრალეულობის საკითხი.

უდანაშაულობის პრეზუმფცია იმასაც გულისხმობს აგრეთვე, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს სავარაუდო მოსაზრებებს. ყოველი ვარაუდი ხომ ობიექტურად დაუდგენელი გარემოებაა, ჯერ კიდევ ეჭვია ამა თუ იმ ფაქტის არსებობისა თუ არარსებობის შესახებ. ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი კი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ.

უდანაშაულობის პრეზუმფცია დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტასთან მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში.

საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს სარეაბილიტაციო მოტივით (დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო, ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო და ბრალდებულის დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის დაუდასტურებლობის გამო).

ამ დროს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები პირის უდანაშაულობას წყვეტენ და ამიტომ საერთოდ არ იშმის საკითხი მისი ბრალეულობის თაობაზე. სწორედ ამის გამო საქმე არ გადაიგზავნება სასამართლოში პირის დამნაშავეობის საკითხის გადასაწყვეტად. თუ, აღნიშნულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე მაინც გადაიგზავნა სასამართლოში, სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ გამამართლებელი განაჩენი.

საქართველოს სსრ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას მოკვლევისა და წინასწარ გამოძიების დროს არასარეაბილიტაციო მოტივით. ყველა ამ შემთხვევაში გამოძიების დროს წყდება პირის მიერ ისეთი ქმედობის ჩადენის საკითხი, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს (სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე).

ამ მოტივებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ან გარდაცვალებულის წარმომადგენელი ამის თანახმა არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის წარმოება გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით და ბრალეულობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

თუ ბრალდებულს მიაჩნია, რომ საქმის წარმოებით შეწყვეტა და მისი გადაცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მისთვის უკეთესია და ეთანხმება საკითხის ასეთ გადაწყვეტას, ეს, ჯერ ერთი, იმას ნიშნავს, რომ პირი თანახმაა მისი საკითხი გადაწყვიტოს ამხანაგურმა სასამართლომ ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ, რომ მისი ავტორიტეტისათვის და რეპუტაციისათვის უმჯობესია საკითხის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა. გამოძიების ორგანოები ასეთ შემთხვევაში, მართალია, ცნობენ პირს ბრალეულად ისეთი ქმედობის ჩადენაში, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაგრამ მათ დასკვნას აქვს წინასწარი ხასიათი, საბოლოოდ საკითხს გადაწყვეტს ამხანაგური სასამართლო ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისია. ამასთანავე ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგური სასამართლო ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისია არ წყვეტს საკითხს პირის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯის შესახებ, არამედ გამოიყენებს მხოლოდ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს. უდანაშაულობის პრეზუმფცია კი პირდაპირ არის დაკავშირებული დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტასთან მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოში.

ამრიგად, გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტისას გარკვეული უნდა იყოს ბრალდებულის პოზიცია. ბრალდებულის სურვილის შესაბამისად საქმე უნდა გაიგზავნოს სასამართლოში და სასამართლომ გადაწყვიტოს მისი ბრალეულობის საკითხი ან ბრალდებულის საქმე განსახილველად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის თავდებობის ქვეშ გადაცემასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში გამოძიების ორგანოები უკვე საბოლოოდ ცნობენ პირს ბრალეულად ისეთი ქმედობის ჩადენაში, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და გადასცემენ მას თავდებობის ქვეშ ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის.

თავდებქვეშ გადაცემის დროს პირს გარკვეულად ეზღუდება პიროვნების თავისუფლების კონსტიტუციური უფლება: მის ქცევას უწესდება კონტროლი, ტარდება გარკვეული ღონისძიებანი მისი ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის და ითვლება, რომ ადამიანმა ჩაიდინა ქმედობა, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

სწორედ ამიტომ, კანონმდებლობაში უნდა შეიტანონ ცვლილება იმ მხრივ, რომ საქმის შეწყვეტა პირის თავდებქვეშ გადაცემასთან დაკავშირებით მოხდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ და არა გამოძიების პროცესში, რადგანაც წყდება პირის ბრალეულობის საკითხი.

უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც კონსტიტუციური პრინციპის საკითხების სწორი გარკვევა ხელს შეუწყობს პროცესუალური კანონმდებლობის დახვეწას, სრულყოფს მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას, მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების განუხრელ დაცვას.

აპოლონ ფალიაშვილი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჩაი-89

გვჭირდება რაოდენობაც, ხარისხიც

როგორც საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი გვაცნობებს, რესპუბლიკაში 7 აგვისტოსათვის მოკრეფილი და გადასამუშავებლად ჩაბარებულია 331.867 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს 38.554 ტონით მეტია, ვიდრე დამზადებული იყო ამ დროისათვის შარშან. მწვანე ფოთლის დღიურმა ნაკრეფმა შეადგინა მთლიანად რესპუბლიკაში 3.884 ტონა — შარშანდელზე რამდენადმე ნაკლები, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 407, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 340, ოზურგეთის რაიონში 871, ზუგდიდის რაიონში — 621 ტონა.

ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 73,7 პროცენტით.

მაგრამ როგორ არის ხარისხის საქმე? ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა პირველი ხარისხის ნედლეული: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 54,7 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 50,7 პროცენტი, ოზურგეთის რაიონში — 54,2 პროცენტი, ზუგდიდის რაიონში — 53,1 პროცენტი. მთლიანად რესპუბლიკაში ამ მაჩვენებელმა 52,9 პროცენტი შეადგინა.

(საქინფორმი).

თვალსაზრისი

„საერთაშორისო ნორმების დაცვით", თუ ოკუპაცია?

წერილი მეორე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი უაღრესად აქტუალური საკითხის შესახებ. ეს არის ის, იყო თუ არა ლენინი დაინტერესებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით, თუ ეს მოხდა სტალინის, ორჯონიკიძისა და ორახელაშვილის ინიციატივით, წინააღმდეგ ლენინის ნებისა?

უკანასკნელ ხანებში ამგვარ პუბლიკაციებს ხშირად ვხვდებით პრესის ფურცლებზე.

როგორია სინამდვილე? არ უნდა იყოს საკამათო, რომ ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას, ისევე როგორც მთლიანად კავკასიაში, თვლიდა რუსეთის საერთო რევოლუციური პროცესის განუყრელ შემადგენელ ნაწილად, მის ერთ-ერთ არსებით მნიშვნელოვან რგოლად. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ ვ. ი. ლენინმა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საკითხს უაღრესად სერიოზული ყურადღება დაუთმო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე.

პირველი ფაქტი. ვ. ი. ლენინმა დიდი გულისწყრომა და აღშფოთება გამოთქვა, როცა 1917 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში შეიტყო, რომ რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციის გამარჯვებისათვის დიდმნიშვნელოვანი ბასტიონი — თბილისის არსენალი მენშევიკებს თითქმის უბრძოლველად დაუთმო. საინტერესოა ამ მხრივ ვ. ი. ლენინისა და ცნობილი რევოლუციონერის კოტე ცინცაძის დიალოგი. ეს უკანასკნელი მაშინ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა პეტროგრადს მიავლინა, რათა ინფორმაცია მიეწოდებინა რუსეთის მთავრობისა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის ამიერკავკასიის ამბების შესახებ და მიეღო მათგან საჭირო დირექტივები. როცა კ. ცინცაძემ ლენინს აცნობა მენშევიკების მიერ არსენალის ხელში ჩაგდების ფაქტი, ლენინმა გაკვირვებით ჰკითხა ცინცაძეს: „ესე იგი არსენალი ჩააბარეთ მენშევიკებს?" ხოლო როცა ცინცაძე შეეცადა ბოლშევიკების ამ მარცხის მიზეზების ახსნას, ლენინი მას კვლავ შეეკითხა: „არსენალი ხომ მაინც ჩააბარეთ მენშევიკებს?" ლენინმა ამ სიტყვებით ფაქტიურად ბრალი დასდო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს დიდ სამხედრო-პოლიტიკურ შეცდომაში.

მეორე ფაქტი. 1917 წლის 16 დეკემბერს რუსეთის სფსრ სახკომსაბჭომ ვ. ი. ლენინის წინადადებით სპეციალურად განიხილა საკითხი კავკასიის შესახებ. ამ საკითხზე მიღებული დადგენილებით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი სტ. შაუმიანი დანიშნულ იქნა კავკასიის საგანგებო კომისრად. 18 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაცემულ იქნა შემდეგი შინაარსის მანდატი: „ამ მანდატის წარმომდგენი პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე სტეფანე შაუმიანი დანიშნულია კავკასიის დროებით საგანგებო კომისრად **კავკასიაში საბჭოების სამხარეო ხელისუფლების შექმნამდე** (ხაზგასმა ჩემია — გ. ჟ.)". მანდატს ხელს აწერდნენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი), ეროვნებათა საკითხებში სახალხო კომისარი ჯუღაშვილი — სტალინი.

რა იყო შაუმიანის ძირითადი, „საგანგებო" მისია? მხოლოდ ერთი: „საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დამყარებული" — ასე განსაზღვრა მან ლენინის დირექტივების შესაბამისად თავისი მისია; მაგრამ მიუხედავად არაერთი ცდისა, შაუმიანმა 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში ვერ შეძლო ლენინის დირექტივების შესრულება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მაგრამ სამაგიეროდ მან დიდი როლი შეასრულა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში.

მესამე ფაქტი. თვლიდა რა საქართველოს რუსეთის განუყოფელ, შემადგენელ ნაწილად, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ, ცხადია, ლენინის თანხმობით, გერმანიასთან დადებული ბრესტის ზავის თანახმად პატრონის — საქართველოსა და სომხეთის დაუკითხავად გერმანიის მოკავშირე თურქეთს გადასცა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქები: არდაგანი, ყარსი და ბათუმი. ხოლო როცა საქართველომ არ ცნო ბრესტის ზავი და საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, საბჭოთა რუსეთის მთავრობა საქართველოს ასეთ მოქმედებას დიდი პროტესტით შეხვდა.

კერძოდ ლენინი 1918 წლის 14 მაისს, ეხებოდა რა საქართველოს მიერ გადადგმულ ასეთ ნაბიჯებს, მოხსენებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ამბობდა: „ვიტყვი კიდევ მხოლოდ იმის შესახებ, რომ კავკასიის საზღვარზე ეს გაურკვეველი მდგომარეობა შეიქმნა გეგეჭკორის მთავრობის ყოვლად შეუწყნარებელი მერყეობის გამო, მთავრობისა, რომელმაც თავდაპირველად განაცხადა, რომ ბრესტის ზავს არ ცნობდა, შემდეგ კი დამოუკიდებლობას აცხადებს ისე, რომ არ გვეუბნება, თუ რომელ ტერიტორიაზე ვრცელდება ეს. ჩვენ შევეკითხეთ მრავალრიცხოვანი რადიოდეპეშებით: **კეთილი ინებეთ და გვაცნობეთ, რომელი ტერიტორიის პრეტენზიას აცხადებთ თქვენ.** დამოუკიდებლობის პრეტენზიის განცხადება — ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ თუ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობთ, **თქვენი მოვალეობაა გვითხრათ, როგორია ის ტერიტორია, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ** (ხაზგასმები ჩემია — გ. ჟ.).

აქედან აშკარაა, რომ საქართველოს ტერიტორიას ლენინი თვლიდა რუსეთის ტერიტორიის ნაწილად და ამიტომ საეჭვოა, შერიგებოდა იგი დიდი ხნით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დაკარგვას, საბჭოთა ხელისუფლების გარეშე მათს დატოვებას.

მაგრამ თუ ოქტომბრის რევოლუციის ტრიუმფალური მსვლელობის პერიოდში ლენინი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი უშუალო პრაქტიკის საქმედ მიიჩნევდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი 1918 წლის მეორე ნახევარსა და 1919 წელს საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის უმძაფრესად გამწვავებასთან დაკავშირებით რამდენადმე იცვლება.

ამ პერიოდში ლენინი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი ბოლშევიკური ორგანიზაციებისაგან, საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებისაგან უფრო მოითხოვენ უცხოელ ინტერვენტებისა და ქვეყნის შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლებში მხარდაჭერას.

მართლაც ამიერკავკასიის მშრომელებმა საბჭოთა რუსეთისათვის ამ უმძიმეს პერიოდში ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ინტერნაციონალური ვალი რუსი ხალხის წინაშე.

მაგრამ 1920 წლის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც იმპერიალისტების მიერ მოწყობილი ორი დიდი ლაშქრობა დამარცხებით დამთავრდა და შედარებით მყარი გახდა საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა, ლენინი კვლავ აყენებს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხს.

1920 წლის 17 მარტს ლენინი კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს, პირადად ორჯონიკიძის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში წერდა:

„ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ, ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესად დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. **იგივე ეხება საქართველოს** (ხაზგასმა ჩემია — გ. ჟ.). თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მიეპყროთ. ჯარების გადაყვანაზე შეუთანხმდით მთავარსარდალს".

ვ. ი. ლენინის მიერ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხის პრაქტიკულად დაყენებასთან დაკავშირებით გაუქმდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და შეიქმნა მის ნაცვლად ახალი ხელმძღვანელი ცენტრი — რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო. ეს იმას ნიშნავდა, რომ რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უშუალოდ მოკიდა ხელი ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეს. კავბიუროს ფაქტიური ხელმძღვანელი იყო ს. ორჯონიკიძე. მის ყოველ განკარგულებას და კავბიუროს ყოველ გადაწყვეტილებას თითქმის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების ძალა და სახელმძღვანელო მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისათვის.

ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე ორჯონიკიძის მიერ 21 აპრილს გაცემულ იქნა განკარგულება მე-11 არმიისადმი შეტევაზე გადასვლის შესახებ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში მონაწილეობის მისაღებად. 28 აპრილს მე-11 არმიის ნაწილების მონაწილეობით საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ბაქოში.

მალე ამის შემდეგ ორჯონიკიძის განკარგულებით მე-11 არმიის ნაწილების მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს საზღვრებიც. ჰქონდა რა იოლი გამარჯვების იმედი, ორჯონიკიძემ 1920 წლის 3 მაისს დილის ოთხ საათზე დეპეშა გაუგზავნა ბაქოდან ლენინს, სტალინს. მასში ნათქვამი იყო:

„დაწვრილებით გადმოგცემთ რადიოთი... ყველაფერი გათვალისწინებულია და სრულდება... მოვლენები ისე ვითარდებიან, რომ იმედი გვაქვს, არა უგვიანეს 15-ისა, ვიქნებით თბილისში".

4 მაისს ორჯონიკიძე მეორედ უგზავნის დეპეშას ლენინს და სტალინს: „მოვლენები ისე ვითარდება, რომ არაუგვიანეს 12-სა ვიქნებით თბილისში. ამისათვის ყველაფერი მზადაა. განხორციელდება ბრწყინვალედ. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა გამოიწვევს აჯანყებულთა დარბევას".

ორჯონიკიძის 3 მაისის დეპეშა იმავე დღესვე განხილულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ. სხდომის დღის წესრიგში იდგა საკითხი „საქართველოს შესახებ". მიიღეს დადგენილება: „დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ორჯონიკიძეს ლენინისა და სტალინის ხელმოწერით დეპეშა, რომელიც აუკრძალავს მას თვითნებურად გადაწყვიტოს საქართველოს საქმეები".

4 მაისს პოლიტბიურომ განიხილა ორჯონიკიძის მეორე დეპეშა. მას ამჯერადაც ლენინისა და სტალინის ხელმოწერით გაეგზავნა დეპეშა, რომელიც კვლავ უკრძალავდა კავბიუროს საქართველოს ტერიტორიაზე მე-11 არმიის ნაწილების შეყვანას. „ცენტრალური კომიტეტი გავალებთ თქვენ თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან, თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ ზავი საქართველოსთან გამორიცხული არაა". ამასთან ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად მოითხოვდა ორჯონიკიძისაგან, რომ საქართველოს საზღვრებიდან გაეყვანა მე-11 არმიის ნაწილები.

7 მაისს ორჯონიკიძე და კიროვი „ლენინს, სტალინს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ჩიჩერინს" უგზავნიან საპასუხო დეპეშას მოსკოვში. იგი იწყებოდა სიტყვებით: „თქვენი ბრძანება შესრულებულ იქნება ზუსტად".

არსებობს კიდევ ორი საყურადღებო პარტიული დოკუმენტი, რომლებიც მიღებული იქნა ლენინის ინიციატივით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ და რომლებიც კრძალავდნენ საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევას.

ერთი ასეთი დოკუმენტია პოლიტბიუროს 1920 წლის 22 ივნისის დადგენილება „პოლიტიკის შესახებ კავკასიაში". პოლიტბიურომ წინადადება მისცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ სწრაფად შეედგინა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში ს. მ. კიროვს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ინსტრუქციაში, რომელიც მალე იქნა შედგენილი და დამტკიცებული პოლიტბიუროს მიერ, ნათქვამი იყო რომ „საბჭოთა რუსეთის მთავრობა ურყევად დაიცავდა საქართველოსთან მშვიდობიან და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას", შემდეგ, ინსტრუქცია მოითხოვდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისაგან, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოეწყოთ აჯანყება საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და ემოქმედათ მხოლოდ ხელშეკრულების ფარგლებში.

მეორე ასეთი დოკუმენტია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ „კავკასიის ამბების შესახებ" 1920 წლის 27 ნოემბერს მიღებული რეზოლუცია, რომელიც ლენინის კალამს ეკუთვნოდა. რეზოლუცია კვლავ გადაჭრით მოითხოვდა, რომ საქართველოს მიმართ გატარებულიყო შემრიგებლური პოლიტიკა, თავიდან ყოფილიყო აცილებული ომი საქართველოსთან".

ლენინის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ასეთი არაერთი კატეგორიული მითითების მიუხედავად, ორჯონიკიძეს შემდეგშიც არაერთხელ დაუყენებია მათ წინაშე საქართველოში მე-11 არმიის შეყვანისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხი. კერძოდ, მისი ინიციატივით 1920 წლის 15 დეკემბერს მოწვეულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გაფართოებული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ კავკასიის ფრონტის წარმომადგენლები. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ორჯონიკიძე, რომელმაც გადაჭრით დააყენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხი. თათბირმა მიიღო დადგენილება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით 16 დეკემბერს გათენებისას მე-11 არმიის ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე შეყვანის შესახებ.

კავბიუროს თათბირის დადგენილება ორჯონიკიძის მიერ დაუყოვნებლივ ეცნობა ლენინს, რომელმაც ასევე დაუყოვნებლივ გაუგზავნა დეპეშის პასუხი ორჯონიკიძეს. „ეს-ეს არის წავიკითხე დაშიფრული წერილი ნომერი პირველი. აი პასუხიც: იგი ძირშივე ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. მას შეიძლება მოჰყვეს დამღუპველი შედეგები. ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ გრთავთ ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ შესრულების შეჩერებას და გადაწყვეტილების გაუქმებას".

ლენინისაგან განკარგულების მიღებისთანავე ორჯონიკიძემ პასუხი გაუგზავნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს: „მივიღეთ პასუხი ლენინისაგან... ცხადია, გასაგებია. გთხოვთ გადასცეთ ლენინს, რომ ყველაფერი იქნება შესრულებული".

1920 წლის 17 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა კავბიუროს მიერ 15 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების ტექსტი და დაადგინა: „დადასტურდეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კავკასიაში რსფსრ-ს მშვიდობიანი პოლიტიკის შესახებ და დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სამხედრო უწყებებს მიიღონ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პოლიტიკის წარმატებითი განხორციელება".

ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ ლენინი, რომელიც 1920 წლის მარტის შუა რიცხვებში „უაღრესად, უაღრესად საჭიროდ" მიიჩნევდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ძირეულად სცვლის ტაქტიკას, კატეგორიულად კრძალავს საქართველოს მიმართ სამხედრო ძალების გამოყენებას, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ლენინმა, პარტიამ ხელი აიღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე?

ცხადია, სრულებითაც არა. ეს იყო მხოლოდ დროებითი, გარდამავალი ხასიათის ტაქტიკა, რომელიც განპირობებული იყო რუსეთის მთელი რიგი საშინაო და საგარეო ხასიათის მიზეზებით.

პირველი ასეთი მიზეზი ის იყო, რომ სწორედ იმ პერიოდში, როცა ლენინმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარი სთქვეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით სამხედრო ძალების გამოყენებაზე, რუსეთი ეწეოდა მძიმე ბრძოლებს პოლონელი პანებისა და ვრანგელის წინააღმდეგ. ამიტომ ასეთ ვითარებაში ომის წამოწყება საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთს უდაოდ შეუქმნიდა დამატებით სიძნელეებს. ამასთან ლენინისათვის ისიც იყო ცნობილი, რომ თუ აზერბაიჯანსა და სომხეთში თითქმის უსისხლოდ ჩაატარა სამხედრო ოპერაციები მე-11 არმიის ნაწილებმა, საქართველოში მას მოუხდებოდა მძიმე ბრძოლები მთავრობის რეგულარული ჯარის ნაწილებთან. ამავე დროს არ არსებობდა ამ ბრძოლებში მე-11 არმიის ნაწილების გამარჯვების გარანტიაც. დამატებითი ძალების გამოყენების შესაძლებლობა კი გამორიცხული იყო, როგორც ეს გახდა შესაძლებელი უფრო გვიან, 1921 წლის თებერვალში.

მეორე ასეთი მიზეზი ის იყო, რომ სწორედ რუსეთისათვის მძიმე დღეებში საქართველოს მთავრობის, მის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას ინიციატივით დადებულ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და საბჭოთა რუსეთის მთავრობას შორის, რასაც უდაოდ ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა ორივე მხარისათვის. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ აღიარა საქართველოს სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტი. ბუნებრივია, სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევის ოდნავ ცდასაც კი უდავოდ შეეძლო სერიოზული ჩრდილი მიეყენებინა რუსეთის საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკისათვის.

მესამე ასეთი მიზეზი ის იყო, რომ არ შეიძლებოდა საქართველოს საკითხთან დაკავშირებით რომელიმე ღონისძიების განხორციელება ევროპის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით კი ანტანტის სახელმწიფოებისათვის ანგარიშის გაუწევლად, რაც კარგად იცოდა ლენინმა. საინტერესოა ამ მხრივ ლენინის სახელზე გაგზავნილი რესპუბლიკის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის 1920 წლის 30 ნოემბრის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

„... კავკასიაში რომ ომი წამოვიწყოთ, კერძოდ, საქართველო რომ დავიკავოთ, ამის უახლოესი შედეგი იქნება ანტანტასთან ჩვენი ურთიერთობის უეჭველი გამწვავება. ანტანტა, უპირველეს ყოვლისა, გააძლიერებს მუშაობას იმისათვის, რომ ჩვენს წინააღმდეგ აამხედროს ყველა ჩვენი დასავლეთელი მეზობელი, ფინეთით დაწყებული და რუმინეთით გათავებული. ამასთან ის კარგ ნიადაგს პოვებს იმიტომ, რომ დასავლეთის მხარეს ჩვენ მოსაზღვრე წვრილ-წვრილ ქვეყნებს გარდაუვალად გაუღვიძებს ჩვენი პოლიტიკისადმი უნდობლობას, თავისი ბედ-იღბლისათვის შიშს და ამით უბიძგებს მათ ჩვენ წინააღმდეგ გასაერთიანებლად".

წერილზე ლენინის ხელით წარწერილია: „სტალინს".

არ უნდა იყოს საეჭვო, რომ როცა ლენინი ეხებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხს, იგი ყოველთვის უწევდა ანგარიშს საქართველოს მთავრობის კავშირურთიერთობას ევროპის სახელმწიფოებთან, მით უმეტეს, მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთი ომში იყო ჩაბმული.

უკანასკნელ, მეოთხე ასეთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ ლენინს არ მიაჩნდა აბსოლუტურად გამორიცხულად საქართველოში შედარებით მშვიდობიანი გზით, სამხედრო ძალების გამოყენების გარეშე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შესაძლებლობაც. ამის საბაბს ლენინს აძლევდა გარკვეულ ეტაპზე ჟორდანიას რამდენადმე კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან, მისი გამოსვლა საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის წინააღმდეგ, მისი უდავო დამსახურება საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის 1920 წლის 7 მაისს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაში, მისი მეთაურობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის საკმაოდ დიდი ნაწილის არაერთი გზის განცხადება, რომ წავლენ ისინი „ყოველგვარ კომბინაციაზე გარედან დაპყრობის თავიდან აცილების მიზნით, და სისხლისღვრას ურჩევნიათ საბჭოთა ხელისუფლება" და სხვ.

ჩვენი აზრით, ასეთია კომპლექსი მიზეზებისა, რომლებმაც განაპირობეს 1920 წლის მეორე ნახევარში ლენინის პოზიციის არსებითი შეცვლა, ცხადია, გარკვეულ დრომდე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხისადმი დამოკიდებულებაში, მის მიერ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა ამ საკითხში.

მაგრამ, როგორც კი 1921 წლის დასაწყისისათვის პოლონელი პანების და ვრანგელის ჯარების განადგურების შემდეგ კვლავ გაუმჯობესდა საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმის დაყოვნებას უკვე დაუშვებლად მიიჩნევს.

იმისათვის, რომ ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებებს არ მიეღო აგრესიის, საქართველოს ოკუპაციის სახე, საჭირო იყო მისი იურიდიული და დიპლომატიური გამართლება. სწორედ ამ მიზნით რუსეთის მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჩიჩერინი 1921 წლის 20 იანვარს საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ლენინს უგზავნის წერილს, რომელშიც ვკითხულობთ:

„საქართველო ისე გათავხედდა, რომ შეიძლება იძულებული გავხდეთ გავასაბჭოვოთ იგი. თქვენ იცით ამბების თანამიმდევრობა: საქართველომ უარი თქვა მთლიანად შეესრულებინა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ის შეთანხმება, რომ დაებრუნებინა ჩვენთვის მის ნავსადგურში შესული გემები, დააპატიმრა ჩვენი თანამშრომლები, მასობრივ რეპრესიებს მიმართა კომუნისტთა წინააღმდეგ და უარი თქვა შეესრულებინა ჩვენთან ერთად ამ საკითხზე მიღებული შეთანხმება, უარი თქვა სავსებით დაეკმაყოფილებინეთ ბათუმში ჩვენი დროშის შეურაცხყოფისა და ჩვენი კურიერის გაძარცვის გამო და ა. შ."

ვინაიდან ჩიჩერინის აზრით, „საქართველო გათავხედდა", იგი თავისი წერილის დასკვნაში მოითხოვს საქართველოს მიმართ „სამხედრო ხასიათის ჩარევას".

ასეთი იყო ჩიჩერინის აზრით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მარტივი, უმტკივნეულო გზა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ჩიჩერინის წერილს ლენინთან ერთად გაეცნო სტალინი. გამოდიოდა რა ამ წერილში მოტანილი ფაქტებიდან, აგრეთვე მრავალი სხვა ცნობიდან, რომელიც მას გააჩნდა საქართველოს იმ პერიოდის მდგომარეობის გამო, სტალინი 24 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრების სახელზე აგზავნის წერილს.

მოგვყავს ეს წერილი მთლიანად:

„გთხოვთ პასუხი მაცნობოთ 6 საათამდე.

ცენტრალური კომიტეტის წევრებს

წინადადებას გაძლევთ მოიწონოთ ამხ. ჩიჩერინის ხაზი საქართველოს საკითხზე (იხ. მისი ბოლო წერილი) და მისცეთ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს დირექტივა, რომ საჭიროა მყისვე შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას კავკასიაში იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა წესით განხორციელდეს სამხედრო ჩარევა. ამავე დროს მისცეთ დირექტივა ამხანაგ ორჯონიკიძეს, რომ საჭიროა აჯანყებულთა გამოსვლების მომზადება საქართველოს გარკვეულ რაიონებში.

24/I — სტალინი

ამხ. ტროცკი, კამენევი (მომხრეა, რომ გადაიდოს ოთხშაბათამდე)

„კრესტინსკი (მხარს უჭერს ოთხშაბათამდე გადადებას)

ამხ. ლენინი... მომხრეა არ გადაიდოს".

ეს წერილი დაიწერა შაბათს, 24 იანვარს.

როგორც ვხედავთ, ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში დაყოვნებას, ხუთი დღითაც კი, მიიჩნევდა შეუძლებლად.

ორი დღის შემდეგ, 26 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა „საქართველოს საკითხი". პლენუმმა მიიღო აღნიშნულ საკითხზე ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია, რომელშიც ვკითხულობთ:

„... 2) კავკასიის ფრონტს გაეგზავნოს შეკითხვა იმაზე, თუ რამდენად მომზადებულია ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოს წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ან ახლო მომავლის ომისათვის, და დაევალოს ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან აღინიშნოს საქართველოს მეტისმეტი თავგასულობა.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაში არიან ამხ. ამხ. ტროცკი, ჩიჩერინი და სტალინი.

3) მისცეს რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს დირექტივა, რომ მოემზადონ საქართველოს წინააღმდეგ ომისათვის, თუ ომი საჭირო იქნა.

ა) დაევალოს გადაზიდვა-გადმოზიდვის უმაღლეს საბჭოს უახლოეს ხანში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, თუ რა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ გადიდდეს ჯარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში..."

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ საქართველოს შესახებ 26 იანვარს მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე სტალინი 28 იანვარს ბაქოში დეპეშას უგზავნის ორჯონიკიძეს, რომლითაც აცნობებს ცეკას პლენუმის დადგენილებას საქართველოსთან ომის საჭიროების შემთხვევისათვის მზადების შესახებ. დეპეშაში, რომლის სრული ტექსტი პირველად გამოქვეყნებული იქნა პროფ. ლ. თოიძის მიერ თავის საინტერესო სტატიაში „ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გამარჯვება, თუ..." (იხ. „კომუნისტი", 1989 წ. 12 ივნისი) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისაგან განსხვავებით სტალინის მიერ ნახმარია ტერმინი „ოკუპაცია".

მაგრამ მთავარია არა ის თუ ვინ იხმარა სიტყვა „ოკუპაცია", არამედ ის, თუ როგორია ისტორიული სინამდვილე. სინამდვილე კი, სამწუხაროდ ისაა, რომ საკმაოდ ბევრია არგუმენტი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში მე-11 არმიის ჩარევას აშკარად ანიჭებენ გარეშე ძალების მიერ საქართველოს ოკუპაციის ხასიათს.

• • •

როგორია საერთო დასკვნები?

პირველი. არ იქნება შეცდომა თუ ვიტყვით, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, უფრო ზუსტად დამყარება, „საერთაშორისო ნორმების" აშკარა დარღვევით განხორციელდა. მოხდა ფაქტიურად გარეშე ძალების — მე-11 არმიის ნაწილების მიერ საქართველოს ოკუპაცია. ამით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ თითქმის უმიზეზოდ ხაზი გადაუსვა სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც იქნა დადებული 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთის მთავრობასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის.

მეორე. მართალია, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ძალაუფლება მოიპოვა მუშათა და გლეხთა საბჭოებმა — „მაღალი ტიპის დემოკრატიულ დაწესებულებათა ფორმამ" (ვ. ი. ლენინი), მაგრამ საქმე ის იყო, რომ საქართველოს საბჭოების მიერ მოპოვებული ძალაუფლება მეტისმეტი ცენტრალიზმის გამო, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დეფორმირების შედეგად, მალე შეიზღუდა, შემდეგ კი საბოლოოდ დაკარგა ან თითქმის დაკარგა თავის სახლში საქართველოში — ბატონ-პატრონის უფლებები. კვლავ შეწყდა საქართველოს უშუალო კავშირურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან. შეიქმნა ვითარება თითქოსდა საქართველომ უკან გადადგა ნაბიჯი და უკან გადასწია თავისი ისტორიის საათი.

მესამე. უკანასკნელ პერიოდში პარტიის მიერ დემოკრატიზმის პრინციპების გაღრმავება-გაფართოებამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეჩაღებინა ბრძოლა საკუთარ სახლში ბატონ-პატრონის უფლებების აღდგენისათვის, დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის მქონე რესპუბლიკისათვის. ეს ბრძოლა მიმდინარეობს სავსებით კანონიერ საფუძველზე პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში. ამიტომ ცდება, ძლიერ ცდება ყველა, ვისაც ყოველივე ეს ეჩვენება განკერძოებულობისაკენ მისწრაფებად.

გრიგოლ ჟვანია,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიის ისტორიის სექტორის გამგე, პროფესორი.

უცხოეთში

საქინფორმის [illegible]
10 აგვისტო

● პოლონეთი

მთავრობის კრიზისის ასაცილებლად

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული პრობლემები. პარტიის ხელმძღვანელობა, აღნიშნულია აქ გამოქვეყნებულ ცნობაში, კვლავინდებურად, მხარს უჭერს ყველა დებულებას, რომლებიც საფუძვლად უძევს ჩ. კიშჩაკის კონცეფციას.

ყურადღება დაეთმო ლ. ვალენსას განცხადებას, რომელმაც გაილაშქრა ჩ. კიშჩაკის მიერ მთავრობის ჩამოყალიბების წინააღმდეგ. პოლიტბიუროს წევრებმა ჯეროვნად შეაფასეს განცხადების მნიშვნელობა და კამათის დროს ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ იგი ართულებს ზუსტად და ეფექტიანად მოქმედი, კომპეტენტური კაბინეტის ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც ესოდენ ესაჭიროება ქვეყანას. ეს განცხადება მოწმობს, რომ ოპოზიცია ცდილობს დაშალოს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, გაერთიანებული გლეხთა და დემოკრატიული პარტიების კოალიცია, ან არსებითად გააძნელოს მაინც მათი პოლიტიკური თანამშრომლობა. იგი ქმნის მთავრობის კრიზისის წარმოშობის საფრთხეს და აბსოლუტურად არ ემსახურება ქვეყანაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეს, ხაზგასმით აღნიშნა პოლიტბიურომ. ასეთი განცხადება მოწმობს იმასაც, რომ ცდილობენ არარად აქციონ „მრგვალი მაგიდის" მთელი გამოცდილება და საეჭვო გახადონ მიღწეული შეთანხმებების სიმტკიცე.

პოლიტბიურომ განიხილა და განსაზღვრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-13 პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები. ითვალისწინებს რა ახლანდელ სიტუაციასა და პოლიტიკური და საპარლამენტო ძალების ახალ თანაფარდობას, პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების მუშაობაში წამყვანი უნდა გახდეს შეთანხმებისა და ბრძოლის პრინციპი: შეთანხმებისა ყველასთან, ვინც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებით ხელმძღვანელობს და ამავე დროს პატივს სცემს მათი შეხედულებების მრავალფეროვნებას.

● იუგოსლავია

გამწვავდა ეროვნებათაშორისი ურთიერთობა

ბელგრადი. ეროვნებათაშორის ურთიერთობების უკიდურესად გამწვავებამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის სტაბილურობის საკითხი, იუწყება ყოველკვირეული „კომუნისტი" სტატიაში, რომელიც მიეძღვნა იუგოსლავიის კომუნისტების კავშირის ცენტრალური კომიტეტის ეროვნებათაშორის ურთიერთობების საკითხებზე გამართულ პლენუმს.

სტატიაში ნათქვამია, რომ მიუხედავად წამოჭრილ ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობისა, ძველი კონფლიქტები არ მოწესრიგებულა, პირიქით, დაემატა. ახალი პლენუმის უშედეგო დასასრულის მიზეზია ის, რომ ვერ გასცდა ფაქტების კონსტატაციას, არ დაუსახავს მომავლის სტრატეგიული ხაზი.

ნაციონალიზმის ესკალაციის, სეპარატული და კონტრრევოლუციური გამოსვლების მიზეზია ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემა. სოციალური კრიზისის დროს, როდესაც უკმაყოფილო ხალხი ემუქრება ეროვნულ ბიუროკრატიას, უფრო იოლია ეროვნულ უმცირესობათა წაკიდება ერთმანეთთან, ვიდრე პრობლემების თანამიმდევრული გადაწყვეტა.

კომუნისტთა კავშირმა თავისი მოღვაწეობა უნდა წარმართოს ნაციონალიზმის მიზეზების აღმოსაფხვრელად, აღნიშნავს გაზეთი.

● პორტუგალია

ნარკოტიკები ქვიშაში

ლისაბონი. ადგილობრივმა მეთევზეებმა დედაქალაქიდან 150 კილომეტრზე, ზღვის ნაპირზე იპოვეს ქვიშაში ჩაფლული 700 კილოგრამი ჰაშიში, რომელიც 8 მილიონ დოლარად შეფასდა.

პოლიციის ცნობაში ნათქვამია, რომ ეს უკვე მეორე შემთხვევაა უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე. ამას წინათ პოლიციის აგენტებმა აღმოაჩინეს კიდევ ერთი დიდი პარტია — 400 კილოგრამი. რაც შეეხება ნარკომაფიის ორგანიზატორებს, ისინი ჯერ არ დაუპატიმრებიათ.

● აშშ

მოითხოვენ სუვერენიტეტის დაცვას

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ კონსულტაციები მოაწყო პანამის თხოვნის შესახებ, რომ მოიწვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ გავლენიანი ორგანოს სხდომა. პანამა მოითხოვს განიხილონ მის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების უხეში ჩარევისა და მის მიერვე განხორციელებული დესტაბილიზაციის პოლიტიკის შედეგად შექმნილი სერიოზული ვითარება.

კონსულტაციებზე მიიღეს გადაწყვეტილება პარასკევს, 11 აგვისტოს გამართონ უშიშროების საბჭოს სხდომა ამ საკითხზე.

◆ საბერძნეთი

საუკუნის სკანდალი

ათენი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბერძნეთის პარლამენტმა გადაწყვიტა დაიწყოს ამერიკის შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში საბრძოლო თვითმფრინავებისა და რაკეტების შესყიდვის ზოგიერთი გარემოების გამოძიება. გადაწყდა შეიქმნას საპარლამენტო კომისია 12 დეპუტატის შემადგენლობით.

„საუკუნის სკანდალი" — ასე უწოდებენ საბერძნეთში მაქინაციებს, რომლებიც 80 „ეფ-16" და „მირაჟ-2000" მარკის თვითმფრინავებისა და 300 „მაეიკ-2" რაკეტის შესყიდვის დროს მოხდა. საბერძნეთის იმდროინდელი მმართველი პარტიის „პასოკის" ხელმძღვანელებს დიდი თანხების მითვისებას აბრალებენ.

კამათის დროს საბერძნეთის მმართველი პარტიის „ახალი დემოკრატიის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს ყველაზე დიდი დანაშაულია პასოკის პარტიის რვაწლიანი მმართველობის პერიოდში.

მემარცხენეთა მთავრობის კოალიციის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ფლორაკისმა განაცხადა, რომ სიტუაცია ძალზე სერიოზულია, და მოითხოვა ასეთი ოპერაციების გასაიდუმლოების გაუქმება.

თავის მხრივ პასოკის წარმომადგენლებმა უარყვეს ბრალდება და განაცხადეს, რომ ეს ცილისწამების აქციაა.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ლონდონი. საბჭოთა კოსმონავტი გერმან ტიტოვი და ინგლისელი ჰაერნაოსანი დონ კამერონი მიმდინარე წლის სექტემბერში გეგმავენ ოფხდღიან ფრენას საჰაერო ბურთით დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლიდან ლენინგრადამდე. სპეციალისტების აზრით ეს იქნება უპრეცენდენტო შემთხვევა. ახლა ორივე სპორტსმენი გულმოდგინედ სწავლობს ერთმანეთის ენას, რომ ეკიპაჟს ურთიერთგაგების პრობლემა არ ჰქონდეს.**

● **მეხიკო. სულ ცოტა 85 კაცი დაიღუპა, 107 დაშავდა სარკინიგზო კატასტროფის შედეგად, რომელიც მოხდა სინალოას შტატის პატარა ქალაქ ლოს-მოჩისის მიდამოებში.**

როგორც აქ გავრცელებულ მექსიკის სახელმწიფო რკინიგზის კომპანიის ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი, ავარიის მიზეზი გახდა კოკისპირული წვიმები, რამდენიმე დღე-ღამე რომ მოდის მექსიკის ჩრდილოეთის მთელ რიგ შტატებში.

ფოტოფაქტი

მოიწამლა ყოველდღიური მოხმარების საქონელი

მავნე სამრეწველო ნარჩენების შენახვის კანონის ნორმების დარღვევის გამო მოიწამლა ბევრი ყოველდღიური მოხმარების საქონელი, რომლებსაც ყიდულობენ ლოს-ანჯელესელი დიასახლისები.

სურათზე: ამ ლამაზად შეფუთულ ნივთებში აღმოაჩინეს ტოქსიკური ნივთიერება.

თანადგომა: გამოცდილების მისამართები

ერთად თუ ვიმოქმედებთ

რესპუბლიკის მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსახლებულებმა მადლიერებით აღიქვეს საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლებისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტების დახმარება. მათი შუამდგომლობით საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა თავისი სახსრებით გაიყვანოს წყალმომარაგების ახალი ქსელი სოფლების წერაქვისა და სიონის ახალმშენებლობებისაკენ.

ყველაფერი კი დაიწყო წერაქველი ქეთევან კვანჭიანის უბრალო სიტყვიერი საჩივრით, რომელიც სვანეთიდან ჩამოსახლებულთათვის სასმელი წყლის უაღრესად არადამაკმაყოფილებელ მიწოდებას უჩიოდა. ძველმა წყალსადენმა ვერ გაუძლო გაზრდილ ნაკადს და სვანების ოცი ოჯახი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

— თავიანთი საჩივარი ჩამოსახლებულებმა გამოთქვეს საქართველოს სახალხო ფრონტის ერთ-ერთ კრებაზე, თქვა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ჯუდუ გაბრიჩიძემ. — საწარმოში მომუშავე სახალხო ფრონტის წარმომადგენლებმა რჩევისა და დახმარებისათვის პარტიულ კომიტეტს მიაკითხეს. ჩვენ კი, ვეთათბირეთ რა დანარჩენ კომუნისტებს და კოლექტივს, მივიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება — საწარმოს ხარჯზე ჩამოსახლებულებისათვის გაგვეყვანა ახალი წყალსადენი.

— ამ წინადადებას დიდი მოწონებით შეხვდნენ, მით უმეტეს, რომ ახალმოსახლეთა დიდი უმრავლესობა ჩვენს დამხმარე საბჭოთა მეურნეობა „ხალიბში" მუშაობს, — ჩაება საუბარში ქარხნის დირექტორის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში თამაზ ლებანიძე. — გადავწყვიტეთ ანალოგიური დახმარება გაგვეწია სოფელ სიონის ახალმოსახლეებისთვისაც, რომლებიც ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. წინასწარი გაანგარიშებით ეს თითქმის 180 ათასი მანეთი დაგვიჯდება.

ამჟამად ყველა მოსამზადებელი საპროექტო სამუშაო უკვე დასრულების სტადიაშია, დღე დღეზე დაიწყება უშუალოდ წყალსადენის გაყვანა. მის ამოქმედებას კი სვანებს ქარხნის მუშაკები უკვე მიმდინარე წლის დამლევისათვის დაჰპირდნენ.

ეს საქართველოს სახალხო ფრონტთან ერთად ქარხნის პარტიული აქტივის მიერ განხორციელებული ერთადერთი აქცია როდია. სახალხო ფრონტის ოთხასზე მეტი წარმომადგენელი გაერთიანებულია საწარმოს 14 პირველადს ორგანიზაციაში. მის საინიციატივო ჯგუფს, რომელიც თერთმეტი კაცისაგან შედგება, მეთაურობს შრომის ორგანიზაციის ბიუროს უფროსი თამაზ ნებიერიძე. ეს ჯგუფი მრავალი კეთილი წამოწყების ინიციატორი გახდა. ჯგუფის წევრთა უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობდა გარდაქმნის მხარდამჭერი რაზმის შექმნასა და მოქმედებაში, რომლის საქმიანობა მიზნად ისახავდა საწარმოში უყაირათობის, წვრილმანი დატაცებების წინააღმდეგ ბრძოლას.

გიორგი კალანდაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა

ვალში ვართ მომავალ თაობასთან

გურამ გველესიანი — საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პირომეტალურგიული პროცესების ფიზიკური ქიმიის დარგის გამოჩენილი მეცნიერი.

ამ სფეროში მისი კვლევების საფუძველზე შეიქმნა დარგის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერული სკოლა. სპეციალისტების აღიარება მოიპოვა მისმა ნაშრომებმა, რომლებიც მიეძღვნა ლითონებისა და მათი შენადნობების აღდგენა-რაფინირებას, მყარი არაორგანული ნივთიერებების (ისინი დღეს წარმატებით გამოიყენება მეტალურგიაში, ქიმიურ ტექნოლოგიაში, ელექტრონიკაში) თერმოდინამიკის შესწავლას, ძნელადდნობადი მასალების მონოკრისტალების ზრდის ტექნოლოგიას.

მეცნიერის შრომები ფართოდ არის აღიარებული ჩვენს ქვეყანაშიც და უცხოეთშიც. ზოგიერთ მათგანს დღეს კლასიკურ ნაშრომებად მოიხსენიებენ. შარშან ნოემბრიდან გურამ გველესიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანია.

— ჩვენი საუბარი ალბათ, იქიდან უნდა დავიწყოთ, თუ რა ამოცანები და პრობლემები დგას ამჟამად თქვენი განყოფილების წინაშე. მაგრამ დღეს, როცა საქართველოში ყველა ჩვენგანის აზრი და გონება მხოლოდ ერთს დასტრიალებს, მეც ერთ, მარად აქტუალურ კითხვას დაგისვამთ: რა არის სიკეთე და ბოროტება? რა იყო აპრილის ის ტრაგიკული ღამე? როგორ შეიძლებოდა ის ყველაფერი მომხდარიყო?

— ახლა, როდესაც 9 აპრილის ტრაგედიის შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფები, როცა იმ ბოროტებაზე ვფიქრობ, მე მიჭირს სიკეთეზე ლაპარაკი.

ყველაფერი ძალზე რთულად არის. სიავის სათავე უნდა ვეძებოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის არსებობის მთელ მანძილზე, ჩვენი ბელადების (სტალინიდან — ბრეჟნევამდე) „მოღვაწეობაში", რომელთაც ყველაფერი იღონეს დემოკრატიის, ძმობისა და თანასწორუფლებიანობის დიადი იდეის ფიქციად გადაქცევისათვის; შექმნეს ტოტალიტარული სახელმწიფო, წაართვეს ხალხს საკუთარი ღირსების გრძნობა. ხოლო როდესაც საკუთარი თავის პატივისცემას კარგავ, შეუძლებელია სხვას სცე პატივი, ანგარიში გაუწიო მის ინტერესებს, იყო სამართლიანი. ეს ბოროტება თავს იჩენს დღესაც.

9 აპრილის ტრაგედია მარტო საქართველოს უბედურება როდია, ის მთელი საბჭოთა ხალხის ტკივილია, და ამიტომაც ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს მთელი მოწინავე ნაწილი ასე მხურვალედ და გულისწყრომით გამოეხმაურა ამ მოვლენას. ეს ცინიკური აქცია მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ, — მათი ავტორები შეეცადნენ, ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ ქვეყნად მიღწეული პოზიტიური ძვრები. ამიტომ არის აუცილებელი სიმართლის დადგენა და დამნაშავეთა სასტიკი დასჯა.

დღეს ძალზე მნიშვნელოვანია დიალოგი იმ ადამიანებთან, არაფორმალებს რომ ვუწოდებთ. კარგია, რომ მათ უკვე აძლევენ ტრიბუნას — ტელევიზიით გამოდიან, პრესაში ვხვდებით მათს ნააზრევს. შეიქმნა სახალხო ფრონტი, რომელმაც სხვა მამულიშვილურ საქმეებთან ერთად ოფიციოზის მიმართ კონსტრუქციული ოპოზიციის ფუნქციებიც უნდა შეასრულოს. ეს აუცილებელია. არავინ არის დაზღვეული შეცდომებისაგან (ამის მაგალითები მრავლად გვაქვს). ხოლო ჭეშმარიტება, როგორც ძველ საბერძნეთში ამბობდნენ, კამათში იბადება.

— მოდით, დავუბრუნდეთ მეცნიერებას, თქვენი დარგის პერსპექტივებთან დაკავშირებულ პრობლემებს. რა არის უმთავრესი თქვენი განყოფილების მუშაობაში?

— ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში აკადემიკოს-მდივნის სტატუსით მუშაობამ გარდაქმნისა და საჯაროობის ხანაში მომიწია. ამის გამო ძე და ჩემს კოლეგებს დაგვეკისრა ძალზე საპასუხისმგებლო ამოცანა — ახლებურად გაგვეაზრებინა ჩვენს რესპუბლიკაში ქიმიური და მეტალურგიული მეცნიერების პროგრესი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის განვითარების, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კეთილშობილურ მიზანს.

როგორც ცნობილია, განვითარებული სამრეწველო ქვეყნების უმეტესობისათვის ქიმიური პროდუქტების წილი საერთო შემოსავლის 12-15 პროცენტია, საბჭოთა კავშირში კი იგი 6,8 პროცენტს არ აღემატება, ქიმიური მეცნიერებისა და ტექნოლოგიის, მეტალურგიის მრავალ დარგში ფუნდამენტური კვლევების მასშტაბები და დონე არ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პრიორიტეტული ფუნდამენტური გამოკვლევების განვითარებას, ახალი მასალებისა და ნივთიერებების შექმნის დარგში და, რაღა თქმა უნდა, კვლევითი შედეგების დაჩქარებულ დანერგვას სახალხო მეურნეობაში.

დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკოლოგიურად სუფთა ენერგო და რესურსდამზოგავი პროცესების მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს საწყისი ნედლეულის და წარმოქმნილი ნარჩენების კომპლექსურ, მაქსიმალურად სრულ გამოყენებას.

ცხადია, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ ზემოაღნიშნულით. ქიმიის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის პროგრესი ბევრად არის დამოკიდებული აგრეთვე ზოგიერთი სხვა ფუნდამენტური და პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განვითარებაზეც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შედგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ინსტიტუტების მოღვაწეობის გრძელვადიანი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები. მათში დიდი ყურადღება ეთმობა იმ აქტუალურ სამეცნიერო მიმართულებებსაც, რომელთა განვითარების პრიორიტეტი ჩვენს რესპუბლიკაში აღიარებულია.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი სასწავლებლების, აკადემიური და დარგობრივი ინსტიტუტების მეცნიერული მუშაობის კოორდინაციას. ამ საკითხის სათანადო დონეზე გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ აქტუალური თემატიკის შერჩევის კონკურენტუნარიანობა, უზრუნველვყოთ კომპლექსური თემების შესრულება და, მაშასადამე, სამეცნიერო დამუშავებათა ეფექტიანობის გაზრდა.

ერთ-ერთი უმთავრესი მომენტია ინსტიტუტების თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით (მათ შორის გამოთვლითი ტექნიკით, პერსონალური კომპიუტერებით) და მასალებით აღჭურვა. ამ საქმეში ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩით არა მარტო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ საკავშირო აკადემიურ ინსტიტუტებსაც და ეს აისახება კიდეც სამეცნიერო დამუშავებათა ხარისხსა და დონეზე, აქვეითებს მეცნიერთა კვალიფიკაციას და მთლიანობაში ამუხრუჭებს მეცნიერების და ტექნიკის განვითარებას.

ალბათ შეუძლებელია დღეს სერიოზული საუბარი ქიმიური მეცნიერების წარმატებებზე, თუ კვლევები მოლეკულურ ან ატომურ დონეზე არ წარმოებს, თუ არ გამოიყენება პროცესების მათემატიკური მოდელირება, ექსპერიმენტების ავტომატიზაცია. საჭიროა შეიცვალოს ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემაც, იგი უფრო მობილური და ოპერატიული უნდა გახდეს. ჩვენმა განყოფილებამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის.

მეცნიერული ინფორმატიკის გარეშე დღეს ჩვენ ვერ ვიარსებებთ. ნებისმიერ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში ინფორმატიკა ისეთ დონეზეა, რომ მკვლევარი სულ რამდენიმე წუთში იღებს მისთვის საჭირო საკითხზე მსოფლიოში არსებულ ყოველგვარ მონაცემს. ჩვენ კი თვეობით, და ზოგჯერ წლობითაც, ვკარგავთ დროს, სანამ გავეცნობით, ვთქვათ, რომელიმე სტატიას საზღვარგარეთულ ჟურნალში.

ვიდრე ეს საკითხი საერთოდ ქვეყანაში გადაწყდებოდეს, ჩვენ უკვე მივიღეთ გარკვეული ზომები. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში, სამეცნიერო-ინფორმაციული განყოფილების უფროსის, ტექნოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ხუციშვილის ინიციატივით, სრულდება საკვლევი თემა ინფორმატიკაში საანგარიშო-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების შესახებ.

— ალბათ ესეც არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჩვენთან ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების საკითხი ძალზე მწვავედ დგას.

— რასაკვირველია. თუმცა არსებობს სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებიც. მე არ მინდა შევეხო ამ საკითხის წინაისტორიას. მაშინ საბავშვო ბაღიდან ან აკვნიდან უნდა დაგვეწყო. არ შევეხები ინსტიტუტის წლებსაც. რა ცოდნას იღებს აქ ახალგაზრდა, ესეც ყველასთვის კარგად არის ცნობილი. მიმაჩნია, რომ სამეცნიერო დაწესებულებაში არ შეიძლება შემთხვევითი ახალგაზრდების მიღება. საჭიროა, ასე ვთქვათ, ნიჭიერების კოეფიციენტის განსაზღვრა მათ შემოქმედებით მეცნიერულ მოღვაწეობაზე. ამიტომ აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის მომზადების სტრუქტურის შეცვლა. ახალგაზრდებმა სწავლის პერიოდში 2-3 წლის განმავლობაში აუცილებლად უნდა გაიარონ სტაჟირება, ესე იგი მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევითი თემების დამუშავებაში აკადემიის სისტემის ინსტიტუტებში ან უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ლაბორატორიებში; ინსტიტუტის დამთავრების ან საწარმოში რამოდენიმე წლის მუშაობის შემდეგ კი, სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით და საკონკურსო წესით, მათ მიიღებენ სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლებად.

სხვათა შორის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დროს მიღებული გამოცდილება იმ ახალგაზრდებსაც გამოადგებათ, რომლებიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მრეწველობაში იმუშავებენ. თორემ რა გამოდის? სამეცნიერო ინსტიტუტები შემთხვევითი ხალხით ივსება, რომელთაც მუშაობის არც სურვილი აქვთ, არც უნარი.

ზემოხსენებული წესით უნდა შეირჩეს ასპირანტებიც. ერთსაც უნდა გავუსვა ხაზი: უთუოდ უნდა გაიზარდოს ახალგაზრდა სპეციალისტთა და ასპირანტთა მატერიალური ანაზღაურება.

— დავუშვათ, რომ საკონკურსო სისტემა ამუშავდა და თქვენს განკარგულებაშია სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა ნიჭიერი კანდიდატურა. რა ელის მას?

— სამეცნიერო სასწავლებლებში ამჟამად არსებული სისტემა ისეა მოწყობილი, რომ... გარკვეულწილად დაამუხრუჭოს მისი მეცნიერული წინსვლა. მრავალი ობიექტური მიზეზის გამო (ზოგიერთებზე უკვე ვისაუბრეთ) სადისერტაციო თემაზე მუშაობა წლობით ჭიანურდება. ამას თუ დავამატებთ დისერტაციის გაფორმებისა და დაცვის ფორმალურ მხარეებს, გამოვა, რომ ფინიშს იგი მრავალი წლის შემდეგ მიაღწევს. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად პრეტენდენტების საერთო პუბლიკაციები სხვა მკვლევარებთან ერთად. ასპირანტმა (მაძიებელმა) თავისი სამუშაოს მეცნიერული ნაწილი უნდა შეასრულოს დამოუკიდებლად და გამოაქვეყნოს მხოლოდ ხელმძღვანელთან ერთად. ეს გამართლებულია როგორც მეთოდოლოგიური, ასევე ეთიკური თვალსაზრისითაც, ხოლო თუ კანდიდატმა გარისკა და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას მოკიდა ხელი, არსებული წინააღმდეგობების გადასალახავად მას კიდევ 10-15 წელი დასჭირდება.

— ამ პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე რაიმე კონკრეტული მოსაზრება თუ გაქვთ?

— ვფიქრობ, დასაცავი უნდა იყოს მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხი. „მწვანე გზა" უნდა მიეცეს პუბლიკაციებს, გაუქმდეს დისერტაციის დაცვისა და დამტკიცების ბიუროკრატიული მექანიზმი, გაფართოვდეს გამოცდების ნომენკლატურა თეორიული დისციპლინების, გამოთვლითი ტექნიკის და მათემატიკური მოდელირების ხაზით. ასეთ შემთხვევაში დისერტაციის დაცვის შემდეგ ნამდვილად გვეყოლება ახალგაზრდა, მაღალკვალიფიციური მეცნიერი, რომელსაც აქტიური შემოქმედების უნარი გაჰყვება სულ მცირე 20-30 წლის განმავლობაში.

რამდენიმე სიტყვა სტაჟირების შესახებ. ეს ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის მსხვილ ავტორიტეტულ სამეცნიერო კვლევით ცენტრებში ახალგაზრდა სპეციალისტების მეცნიერული კვალიფიკაციის ასამაღლებლად და არა იმისათვის, რომ ხელოვნურად გავახანგრძლივოთ მათი ასპირანტურაში ყოფნის ვადა, რაც ლამის ტრადიციად იქცეს.

— თქვენ 25 წლის იყავით, როდესაც საკანდიდატო დისერტაცია დაიცავით, მეცნიერებათა დოქტორი კი 37 წლის გახდით. ქიმია და მეტალურგია თქვენი მოწოდებაა?

— ბუნებით მე მაინც ჰუმანიტარი ვარ. ყოველთვის მიტაცებდა ლიტერატურა, ისტორია, მუსიკა. სხვათა შორის, აქტიურად ვმონაწილეობდი ლიტერატურულ წრეში, რომელსაც ჩვენი ცნობილი მწერალი ვახტანგ ჭელიძე ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად ამისა, ჩემმა მშობლებმა, გადაწყვიტეს, რომ ჩემი მომავლისათვის ტექნიკური განათლების მიღება სჯობდა. დიდი გარჯა დაჭირდათ ჩემს გადასაბირებლად. ამაში მეგობრებიც — გამოჩენილი მეცნიერები რაფიელ აგლაძე და გივი მიქელაძე მიეხმარნენ. ჰოდა, ავტორიტეტებმა გაიმარჯვეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავირიცხე, რადგან საბუნებისმეტყველო დარგთაგან ყველაზე მეტად ქიმია მიყვარდა.

ჩემი, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა პროფესორმა ვასილ პაზუხინმა — ასპირანტურის წლებში ჩემმა ხელმძღვანელმა. ეს იყო დიდი მეცნიერი, უკეთილშობილესი ადამიანი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ჩვენს ქვეყანაში ფერადი მეტალურგიის ერთ-ერთი მთავარი ამაღორძინებელი. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავისი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება ქვეყნის განვითარებისათვის მაქსიმალურად მოეხმარებინა, პროფესორი ორჯერ მოჰყვა რეპრესიებში და მრავალი წელი გადასახლებაში გაატარა.

— თქვენ როგორღა მუშაობთ ახალგაზრდებთან? თქვენი ხელმძღვანელობით ხომ ორი სადოქტორო და თორმეტი საკანდიდატო დისერტაცია მომზადდა.

— მონაფეებშიც გამიმართლდა. ჩვენთან ნიჭიერი, შემოქმედი ახალგაზრდობა შეიკრიბა. თითქმის ყველანი ახლო მეგობრები ვართ. ზოგი უკვე მეცნიერებათა დოქტორია, მალე მათ კიდევ ორი დოქტორი მიემატება. ყოველ მათგანს საკუთარი მეცნიერული მიმართულება აქვს. მე მინდა, და ამისათვის ცდა და მონდომება არ დამიკლია, რომ ყოველი მათგანი თავის საქმეში ჩემზე უკეთესი და, მაშასადამე, უფრო დამოუკიდებელი ყოფილიყო. ეს ძალზე მნიშვნელოვანია მეცნიერების პროგრესისათვის, რადგან ნაკლებია მეცნიერებაში მონოპოლიზმის საფრთხე, ავტორიტეტთა მიერ ზოგჯერ მთელი სამეცნიერო სკოლებისა და კოლექტივების შემოქმედებითი სწრაფვის ჩახშობისა და დამუხრუჭების შესაძლებლობა.

— რას აფასებთ ადამიანში უპირველეს ყოვლისა?

— კეთილშობილებასა და გონიერებას, რადგანაც მათში გაერთიანებულია ადამიანის პრაქტიკულად ყველა პოზიტიური თვისება.

— თქვენ ნიადაგ მისდევთ ამ პრინციპებს? მაშინაც, როცა ეს თქვენს პირად ინტერესებს ეწინააღმდეგება?

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ.

— და უკანასკნელი შეკითხვა: რის თქმას ისურვებდით კიდევ ჩვენი გაზეთის ტრიბუნიდან?

— საიდუმლო არავისთვის არის, რომ საქართველოს ეკოლოგია საფრთხეშია. დღევანდელი სიტუაცია მოითხოვს ჩვენი ფლორისა და ფაუნის, მოსახლეობის გადასარჩენად გადამწყვეტი ზომების მიღებას. ამასთან დაკავშირებით ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ბიოსფეროსა და ეკოლოგიის შემსწავლელი საკოორდინაციო საბჭო. შემუშავებულია გარემოს დაცვის, რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტის გრძელვადიანი გეგმა. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ ღონისძიებებში. განყოფილებაში უკვე მუშაობს მეცნიერებისა და მრეწველობის მუშაკთაგან შემდგარი კომისია, რომელიც კურირებას და კოორდინაციას გაუწევს ეკოლოგიურ გამოკვლევებს.

ჩვენ ამ საკითხშიც დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება მომავალი თაობის წინაშე. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მისია.

ლუდმილა იაკობაშვილი.

სპორტის ამბები

ქართულად იჭიდავებენ... იაპონელებიც

ეს სულაც არ არის გასაკვირი, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. მთავარია, იყოს სურვილი, ამას კი ძიუდოს მამამთავრები მუდამ იჩენენ, მათ მტკიცედ გადაწყვიტეს ძალები გამოსცადონ ქართულ ჭიდაობაში და განაცხადეს მონაწილეობის სურვილი... ქართული ჭიდაობის საქართველოს აბსოლუტურ პირველობაში.

— სავსებით რეალურია ის, რომ ნოემბერში თბილისის სპორტის სასახლის ხალიჩაზე ვიხილოთ იაპონელები, — თქვა საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ომზარ შოშიტაშვილმა. — პირველად იქნება ჩვენი რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონატი ღია, და მასში მონაწილეობა შეეძლება ნებისმიერი ქვეყნის სპორტსმენს. იაპონელებმა პირველებმა მოგვცეს ტურნირში მონაწილეობის ოფიციალური დასტური. მიღებული გვაქვს თანხმობა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ისრაელის, თურქეთის, ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნისა და მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენებისაგან.

— როგორ იშვა ღია ჩემპიონატის გამართვის იდეა?

— იგი დიდი ხანია მომწიფდა, რასაც უწინარეს ყოვლისა, ხელი შეუწყო ქართველ მოჭიდავეთა დიდმა პრესტიჟმა მთელ მსოფლიოში. უკანასკნელ ხანს დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს ჩვენმა ძიუდოისტებმაც, რომლებმაც ორთაბრძოლის ამ სახეობაში წლების განმავლობაში შექმნეს თავიანთი სტილი. დღეს უკვე მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ ძიუდოს ქართულ თავისთავადს სკოლაზე, რომელიც ეფუძნება ქართული ჭიდაობის ტრადიციებს. ჩვენი ეროვნული ჭიდაობის კარგი რეკლამა გახდა საჩვენებელი ორთაბრძოლებიც, ჩვეულებრივ რომ ეწყობა ხოლმე თბილისის საერთაშორისო ტურნირების დღეებში. მათ მრავალი სპეციალისტის ყურადღება მიიპყრეს, მათ შორის იაპონელი სპეციალისტებისაც, რომლებიც შარშან ჩამოვიდნენ თბილისში რესპუბლიკის აბსოლუტურ ჩემპიონატზე. სტუმრებმა ვიდეოფირზე ჩაიწერეს ყველა ორთაბრძოლა. ასპარეზობის გამართვის წესები და დებულება ითარგმნა რამდენიმე ენაზე და ქართული ჭიდაობისათვის ტრადიციული მუსიკის ჩანაწერებთან ერთად გაიგზავნა მრავალ ქვეყანაში. გარდა ამისა, შულავერის მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკამ, რომელიც ფინანსურ დახმარებას უწევს ქართული ჭიდაობის განვითარებას, დაამზადა აგრეთვე 1000 ჩოხა, ისინიც — საზღვარგარეთ გავგზავნეთ. საზღვარგარეთ მივავლინეთ აგრეთვე ჩვენს სპეციალისტებს საწვრთნელი ვარჯიშების გასამართავად...

— რით შეიძლება აიხსნას ქართული ჭიდაობისადმი ასეთი გადიდებული ინტერესი იაპონიაში?

— უკანასკნელ წლებში ამ ქვეყნის ძიუდოისტებმა ძალზე დათმეს პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე. სეულის ოლიმპიურ ასპარეზობაზე მათ მხოლოდ ერთი უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ძიუდოს მამამთავრები ხომ გვიკარნახებდნენ მოდას, ახლა კი თვითონ არიან იძულებულები ისწავლონ სხვებისაგან. მათ შორის ჩვენი ძიუდოისტებისაგანაც, რომლებიც წარმატებით იყენებენ იაპონურ ჭიდაობაში ქართული ჭიდაობის ყველა საუკეთესო ილეთს. ჩვენმა აქციებმა კიდევ უფრო აიწიეს მას შემდეგ, როცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ჩოჩიშვილმა ტოკიოში პროფესიული ჭიდაობის „სუპერვარსკვლავების" ტურნირზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მან დაამარცხა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი კეტჩში, იაპონელ გულშემატკივართა კერპი ანტონიო ინოკი. სხვათა შორის, იაპონიაში უკვე დაიწყეს ქართული ჭიდაობის აქტიური პროპაგანდა. ტოკიოში შეიქმნა ქართული ჭიდაობის ასოციაცია, რომელსაც მეთაურობს წარსულში სახელგანთქმული ძიუდოისტი, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი სეიძო ფუძი. აქ ეუფლებიან ქართული ჭიდაობის ილეთებს, უჩვენებენ სასწავლო ფილმებს, რომლებზეც აღბეჭდილია ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლები. ყოველივე ამან დააინტერესა არა მარტო ძიუდოისტები, არამედ პროფესიული ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებიც.

— [illegible] ის, თუ რა პატივისცემით ეკიდებიან იაპონიაში ქართულ ჭიდაობას. მაგრამ, როგორც ჩანს, მას კიდევ უფრო ფართო პროპაგანდა სჭირდება, და არა მარტო უცხოეთის ქვეყნებში...

— რა თქმა უნდა, ეს ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ქართული ჭიდაობის აღორძინებისათვის და კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უწინარეს ყოვლისა, უნდა განვამტკიცოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უკვე აღარ შეიძლება დავჯერდეთ მხოლოდ ღია ცის ქვეშ გახსნილ საჭიდაო მოედნებს.

— და კიდევ, თუ ქართულ ჭიდაობას საერთაშორისო ასპარეზზე გავიტანთ, საქართველო კიდევ უფრო ახლობელი გახდება მრავალი ხალხისათვის. სხვათა შორის, როგორც ცნობილია, ძიუდოისტები და არბიტრები მთელ მსოფლიოში იაპონური ტერმინოლოგიით სარგებლობენ. ბუნებრივია, სწორი იქნება, თუ ქართული ჭიდაობის ყველა ასპარეზობაზე, მათ შორის საერთაშორისო ასპარეზობებზე, გამოყენებული იქნება ქართული ტერმინოლოგია.

— და, ალბათ, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქართულმა ჭიდაობამ მოიპოვოს საერთაშორისო სტატუსი.

— სწორედ ამას ვესწრაფვით. ამ მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება ნოემბერში, ტურნირის დღეებში, როცა დაისმება საკითხი ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შექმნის შესახებ. ამისათვის საჭიროა ერთი უთუო პირობა — მოვიპოვოთ, სულ ცოტა, ხუთი ქვეყნის მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში ფედერაციის ხელმძღვანელობის სურვილი გამოთქვა ზემოხსენებულმა სეიძო ფუძიმ — დიდმა ავტორიტეტმა სპორტულ სამყაროში.

ახლა უკვე დაიწყო მზადება ჩემპიონატისათვის, რომელიც 24-26 ნოემბერს გაიმართება. ჩემპიონატის სპონსორი გახდა თბილისის საწარმოო გაერთიანება „თეთრონი".

შალვა შალოლაშვილი,
(საქინფორმის კორ).

აჭარა:
ტურისტული ზაფხული

ხალხმრავლობაა აჭარის პლაჟებსა და ჯანმრთელობის კერებში. პროფკავშირული საგზურებით, ტურისტული მარშრუტებით, თვითმფრინავებითა და მატარებლებით, ავტობუსებითა და თბომავლებით, ზოგი კი, უბრალოდ, ფეხით, ზურგჩანთამოკიდებული ჩამოდის ბათუმში, ქობულეთში, ციხისძირში, მახინჯაურში, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა საკურორტო ადგილებში.

საქინფორმის ფოტორეპორტიორებმა მონახულეს აჭარის ტურისტული სასტუმროები, დასასვენებელი სახლები, პლაჟები, პარკები. მათმა ობიექტივებმა აღბეჭდეს: მრავალსართულიანი ტურისტული სასტუმრო „მესხეთი" ბათუმში, ახალგაზრდა დედა ბავშვებთან ერთად ბათუმის ზღვისპირა ბულვარში.

ზ. სამსონიასა და გ. შარაშენიძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

ერთუცნობიანი ამოცანა

ღიმილის მომგვრელი ერთი ღია წერილის გამო

ქალაქ ფოთსა და მის ექსპერიმენტზე უკანასკნელ წლებში არაერთი სტატია გამოქვეყნებულა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პრესაში.

ეს ინტერესი იმით არის გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ გარდაქმნის დაწყებამდე, რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის სწორი ეკონომიკური კურსის წყალობით, პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება, ხოლო ფოთი წლეულს გადაიქცა თვითმმართველ ტერიტორიად, რის გამოც, ბუნებრივია, ფოთის ექსპერიმენტი მთელი საბჭოთა კავშირის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ასე აღმოცენდა ახალი ეკონომიკური აზროვნების პირველი ყლორტები, რაც მომავალში ინტენსიურ ზრდასა და მომძლავრებას გვპირდებოდა. მოლოდინი გამართლდა და დღეს სადავო და საეჭვო თითქმის აღარაფერია.

თუ რაოდენ დიდი მორალური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ფოთის ექსპერიმენტს უძრაობის პერიოდში, ეს კარგად არის ახსნილი ედუარდ შევარდნაძესთან ინტერვიუში, რომელიც „პრავიტელსტვენნი ვესტნიკში" გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ გაზეთმა „კომუნისტმაც" გადმობეჭდა.

დიახ, ფოთის ექსპერიმენტმა თავისი ძირითადი დანიშნულება გაამართლა და ქალაქიც წელში გაიმართა. ვინც ბოლო ხანს ყოფილა იქ, ამ ჭეშმარიტებაში იოლად დარწმუნდება.

ეს არავისთვის უცხო არ უნდა იყოს.

ისიც უდავოა, რომ, თუ ჟურნალისტს წინასწარ აკვიატებული განწყობის გარეშე სურს რაიმე სიახლის დადებითი შედეგები, ან თუნდაც ამა თუ იმ ქალაქსა ან რაიონში განახლებისა და აღორძინების საერთო რეალური სურათი გააცნოს მკითხველს, სულაც არ არის აუცილებელი იმასაც წვრილად ჩაეძიოს, თუ როგორ გახმა ხე რომელიმე ქუჩაზე, როგორ ჩაძირეს კოროზირებული გემი ან რატომ დასკდა ახლად აგებული შენობის კედლები (სხვა საკითხია, რომ შესაძლოა ყოველივე ეს ცალკე პუბლიკაციაში განხილვას იმსახურებდეს კრიტიკის კონკრეტული მისამართების დასახელებით...) ყოველ თემას ან საკითხს ორი მხარე აქვს, და თუ ერთი მეორეს არ ჩრდილავს, მომენტის მოხელთებისთანავე ნიშნის მოგებით ლაპარაკი უარყოფით მხარეზე საკადრისი არ უნდა იყოს.

ეს მკითხველმაც კარგად უწყის.

ამიტომ, ცოტა არ იყოს, ღიმილს იწვევს ტელეჟურნალისტ თეიმურაზ კვირკველიას მეტისმეტი მოწადინება სტატიაში: „სასწაულები ფოთში" („ღიმილიანი ღია წერილი ბატონ შოთა ამაშუკელს"), რომელიც „ახალგაზრდა კომუნისტის" 27 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა (სხვათა შორის იმხანადვე ავტორმა ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა, ფოთის თემაზე აუგის სათქმელად გამოეყენებინა ჩვენი ტელევიზია, სადაც თვითონ მუშაობს).

ღია წერილის ავტორს, როგორც ჩანს, მიზნად დაუსახავს **რადაც უნდა დაუჯდეს** გააცამტვეროს გაზეთ „კომუნისტში" 15 ივნისს გამოქვეყნებული სტატია „თვითმმართველობა ანუ როცა უწყებრივი ბარიერები იმსხვრევა". ასეა თუ ისე, ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს, ერთი მხრივ, სამხილთა აშკარა უკმარისობა, და მეორე მხრივ, ოპონენტის ერთობ ცინიკური ტონი, რომლის უკან ჩანს განაწყენებული კაცის განწყობილება და პუბლიკაციის ავტორისადმი არაკოლეგიური დამოკიდებულება. სხვათა შორის, საკითხისადმი მიკერძოებულ მიდგომას ვერც გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" უარყოფს, რომლის სარედაქციო მინაწერში სიტყვასიტყვით ნათქვამია: „თეიმურაზ კვირკველიას წერილი, როგორც ნახეთ, ფოთის გახმაურებული ეკონომიკური ექსპერიმენტის მეორე, არასაპარადო მხარეს გვიჩვენებს. **მასში ავტორის გარკვეული ტენდენციური დამოკიდებულებაც ჩანს და არა მარტო ქალაქ ფოთის, არამედ „კომუნისტის" პუბლიკაციისადმიც,** რომელშიც გაზეთის სპეციალურ კორესპონდენტს მართლაც არ შეეძლო სრულად მოეცვა ფოთში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესები, არსებული ნაკლოვანებები... და რაც მთავარია, ჩვენ გაზეთს მიზნად არავითარ შემთხვევაში არა აქვს პოლემიკა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოსთან".

თუ ყოველივე მართლაც ასეა, მაშინ რაღა რჯიდა „ახალგაზრდა კომუნისტს", თავისსავე, ხელოვნურად შექმნილ წინააღმდეგობებში გახლართულიყო?

ჩვენ მართლაც არ ვაპირებთ უმცროს კოლეგას პოლემიკა გავუმართოთ, მით უფრო, რომ არცთუ დიდი ხანია, „რაც „კომუნისტმა" გულწრფელად შეუქო ბოლოდროინდელი წარმატებანი, მაგრამ ჩვენ რომ არა ვთქვათ, განა მკითხველი ვერ ამოიცნობს? — ღია წერილის პუბლიკაცია ძალიან წააგავს ცნობილი იგავის ერთი პერსონაჟის სხვებზე ეფექტის მოსახდენად გაანგარიშებულ ქცევას: შემომხედეთ, რა გულადი ვარო!

„კომუნისტის" ეკონომიკის განყოფილება.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 25-30, მთაში 23-28, მაღალმთიანეთში 20-25 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, ტემპერატურა — ბარში 28-33, შიდა ქართლში 21-26, მთაში 22-27, მაღალმთიანეთში 19-24 გრადუსი.

**რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.**

ტელევიზია — პარასკევი, 11 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა თეთრი კომკებისაკენ". 16.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „არც დაგისიზმრებიათ" (ქართულ ენაზე). 17.50 — მოსწავლეთათვის. საუკუნეები და თაობები. 18.50 — განცხადებები. 18.55 — ექო. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „სტუდია დიალოგი". 21.35 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — სოციალური უზრუნველყოფა გარდაქმნის გზაზე. 23.05 — ფილმის შუქ-ჩრდილი. ქართული მხატვრული ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე".

მეორე პროგრამა. 16.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.10 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ახლო ნათესავები" (ოდესის კინოსტუდია), „მომეხმარეთ იალბუზზე ასვლაში" (კინოსტუდია „ქართული ფილმი"), „ძილი" (კინოსტუდია „არმენფილმი"). 19.30 — დოკუმენტური ფილმი „უმომავლოდ" 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ოგარიოვის 6". 22.00 — „ვრემია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა". V და VI სერია. 11.50 — წელიწადის დრონი. აგვისტო. 16.35 — კონცერტი. 17.00 — ფილმი — ბავშვებს. 18.10 — „სიმღერა-89". 18.30 — მულტფილმი. 18.50 — დოკუმენტური ფილმი „იმედების რეაბილიტაცია". 19.15 — „ინტერსიგნალი". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ბახი. „ბრანდერბურგული კონცერტი" № 2. 20.15 — ფილოსოფიური საუბრები. 21.00 — მეგობრობის მერიდიანები. ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „ბალტიკა-89". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ეს იყო... იყო...". 23.00 — „რვაფეხა". V სერია. 0.05 — დღეს მსოფლიოში 0.20 — „რვაფეხა". VI სერია.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში 9.15 — სტუდია წარმოგიდგენთ: „სორბონიდან ბაიკალის ნაპირებამდე". 10.00 — სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „ციმბირის" კონცერტი. 10.30 და 13.30 — ინგლისური ენა. 11.00 — პუშკინი და მისი ეპოქა. 11.45 — მულტფილმი. 12.00; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.10 — „ოთხი ტანკისტი და ძაღლი". IX სერია. 13.10 — მულტფილმები. 14.10 — მხატვრული ტელეფილმი. 14.35 — რიტმული ტანვარჯიში. 15.05 — კინოჟურნალი „შორეული აღმოსავლეთი". 18.10 და 22.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმები „ახლო ნათესავები" და „მომეხმარეთ იალბუზზე ასვლაში". 19.30 — რიტმული ტანვარჯიში. 20.00 და 21.15 — ასპარეზი. სპორტული პროგრამა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 24.00 — საინფორმაციო გამოშვება. 0.15 — მუსიკალური პროგრამა „ექსკურსია".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე — 00381 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14